პროლეტარიანო თავისუფლების გზით — პროლეტარიანო თავისუფლებისაკენ!
პროლეტარიანო თავისუფლების გზით — პროლეტარიანო თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 34 (1435) | 14 - 20 ოქტომბერი 1995 წ.

ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ! ...

XXI საუკუნეში - შევარდნაძის გარეშე

მეექვსე გვერდი

რა მოხდა საქართველოში

დაბნეული მოქალაქის ჩანაწერები

მეშვიდე გვერდი

როგორ გახდა ჯაბა იოსელიანი ... ტორტი

მერვე გვერდი

ნავთზე ცეცხლი?

10 ოქტომბერს გაჩნდა ხანძარი უნივერსიტეტის II კორპუსის შენობაში. დაიწვა შენობის ნაწილი.

11 ოქტომბერს ცეცხლი მოედო აეროპორტის შენობის სახურავს. დროულად მიღებული ზომების წყალობით ხანძარი ჩააქრეს.

შესაძლოა ეს ყველაფერი — მხოლოდ შემთხვევითობაა და არავითარ დივერსიას ადგილი არა აქვს. მაგრამ პარკვეული ეპვები მაინც ჩნდება. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კონსორციუმმა მიიღო „კომპრომისული" გადაწყვეტილება ყასპის ნავთობის ძიებელად პარტიის მარშრუტის შესახებ — ნახევარი რუსეთის, ნახევარი საქართველოს გზით — ზოგ-ზოგები, სპეციალისტ-ოპოზიციონერთა რიგებიდან ვარაუდობდნენ, რომ არ არის გამორიცხული დაიწყოს დესტაბილიზაციის ახალი ეტაპი. მათი აზრით, რუსეთისათვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო საკუთრივ მის ტერიტორიაზე ნავთობსადენის გავლა, რამდენადაც ის, რომ მას არ გაევლო საქართველოში. კონსორციუმის „კომპრომისი", ფაქტიურად ქართულ-თურქული ვარიანტის გამარჯვება, რასაც რუსეთი ასე იოლად არ „ჩაულაპავს", და თუმცა თვით რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურებში, დღეს, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს ხელში, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: აქელემი ისე არ დაეცემაო... და ა.შ.

ერთი რამ კი მართლაც ცხადზე უცხადესია. თუ ხანძრები და სხვა მსგავსი უბედურებები კიდევ გაგრძელდება, მაშინ ეპვები დესტაბილიზაციის ინსპირირებაზე (და ინსპირატორზე) ვარაუდი კი აღარ იქნება, არამედ დიაგნოზი.

რევაზ ახვლედიანი

ჯაბა იოსელიანი:

მე რაც ვიბრძოლე, მეძიოვა, ვადლობა არავინ მითხრა...

საზოგადოება „არჩევნები" წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაება. საზოგადოების ნომერ პირველმა კანდიდატმა ჯაბა იოსელიანმა და „არჩევნების" წევრებმა პრეს-კონფერენცია გამართეს

დროი მეფობენ, არა მეფენი

იყო დრო, როცა ჯაბა იოსელიანის პრეს-კონფერენციაზე ნემსიც კი არსად ჩავარდებოდა. პრესაც ბლომად იყო და ტელევიზიაც. თოფიანარაღში ჩამჯდარი ბიჭები „შუსტრად" ტრიალებდნენ და თვალებს აბრიალებდნენ. დღეს ეს თოფიანი ბიჭები თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სადაც არიან „გაფუსკულნულები". ჟურნალისტების დიდმა ნაწილმაც თავი არ გაიცხელა პრეს-კონფერენციაზე მისვლით. ასე, რომ გამჩრცემლობა

გაგრძელება მე-2 გვ.

ლია წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. შევარდნაძეს

ბატონო სახელმწიფოს მეთაურო!

როგორც იცით, საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს დაპყრობისა და ანექსიის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეების ფრონეს, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ლეხურასა და ქსნის ხეობათა ზემოწელში უკანონოდ შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი". საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილს „ოსეთი" დაერქვა. ეს აქტი შესრულდა უცხო ძალის — ბოლშევიკური რუსეთის მიერ და მისი მიზანი იყო საქართველოში ანტიქართული ამბოხების მუდმივი საშიშროების შექმნა, კავკასიონის სამხრეთით რუსეთისთვის პლაცდარმის დამკვიდრება, საქართველოზე რუსეთის ზეგავლენის კიდევ ერთი მუდმივი შესაძლებლობის მოპოვება. ისიც მოგეხსენებათ, რომ ოსური მოსახლეობა ლიახვის სათაურებში პირველად გაჩნდა XVII საუკუნეში.

ხოლო მისი მასობრივი შემოსვლა დაიწყო 1864 წლის შემდეგ, როცა ბატონყმობის გაუქმების შედეგად ყმებდაკარგულმა მემამულეებმა ჩრდილო კავკასიიდან ოსი ტროვნების ხიზანთა შემოყვანას მიჰყვეს ხელი. ცხინვალელ ოს ხელისუფალთა მიერ 1990 წლის დამლევს „რესპუბლიკის" გამოცხადების და იმავე წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ უკანონო გზით შექმნილი ტერიტორიული ერთეულის — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმების მოძსწრეც ბრძანდებით. ეს უკანასკნელი აქტი აუცილებელი გახლდათ: რაკი საქართველოში ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება შეიქმნა (1990 წლის 28.X არჩევნების შედეგად), იგი მოვალე იყო ეს ნაბიჯი გადაედგა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თანამონაწილე ხდებოდა იმ დანაშაულისა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც იმ უკანონო ავტონომიის შექმნაში მდგომარეობდა, და მასზე პასუხისმგებელი.

1992 წელს თქვენ, იმ დროს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დასთანხმდით სამშვიდობო ძალების მანდატით რუსეთის შეიარაღებული ძალების აღჭურვას და მათს განლაგებას, ოსურ და ქართულ შეიარაღებულ ძალებთან ერთად არა მარტო კონფლიქტის რეალურად არსებულ ზონაში, არამედ ყოფილი ავტონომიის დანარჩენ ტერიტორიაზეც. რუსეთის ამ შეიარაღებული ძალების ფუნქციონირება აქ, ისევე როგორც აფხაზეთში, საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდაა მიმართული. ოსი ლტოლვილები დაბრუნებულნი არიან და ოსი ბანდები შეიარაღებულნი, ხოლო ქართველი ლტოლვილები კვლავ ლტოლვილნი არიან და ქართველი მოსახლეობა — განიარაღებული.

ამჟამად საქართველოში იმყოფება და განსაკუთრებით ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე მუშაობს ეუთო-ს (ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის) მისია, რომელმაც შეიმუშავა და წინადადების სახით წარმოუდგინა კონფლიქტის მხარეებს კონფლიქტის მოგვარების ისეთი გეგმა, რომელიც საქართველოსთვის მიუღებელია. კერძოდ, კვლავ ოსური ტერიტორიული ავტონომიის შექმნის, მისთვის „ოსეთის" დარქმევის და ძველთან შედარებით მისთვის კიდევ უფრო გაფართოებული უფლებების მიცემის გეგმა. ამ წინადადებათა ანტიქართული (პროოსური) ხასიათის ილუსტრირება ძალიან ადვილია და ეს გააკეთა კიდეც პარლამენტის წევრთა დიდმა ჯგუფმა, ბატონებთან ა.ბაქრაძესთან, შ.მაჰავარიანთან და შ. ნადირაშვილთან ერთად, რომელთაც აღნიშნეს, რომ

ა) გეგმაში უგულებელყოფილია იმ 100 ათასი ოსის ინტერესები, რომლებიც ყოფილი ავტონომიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ საქართველოში (მაშინ, როცა ყოფილ ავტონომიაში მხოლოდ 60 ათ-

გაგრძელება მე-3 გვ.

პრეზიდენტობას რა უნდა...

6 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატმა ქართლოს ღარიბაშვილმა ჟურნალისტთა სახლში პრეს-კონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს რომ გადაავლო თვალი, აღფრთოვანება ვერ დამალა: ეს რამდენი ხალხი მოსულა და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნება, პრეზიდენტად რომ ამირჩევენო (ისე აშენდა ეს ქვეყანა, როგორც თქვენ პრეზიდენტად არ აგირჩევენ, ბატონო ქართლოს, მაგრამ ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო...).

გზა პოლიტიკისაკენ

ქართლოს ღარიბაშვილმა ჯერ თავისი ბიოგრაფიის თხრობით დაგვატკბო (ალაგ-ალაგ ისეთი სენტიმენტალურ-ლირიული გადახვევებით, რომ ალბათ ზოგიერთებს თვალზე ცრემლიც კი მოადგათ). შემდეგ ისაუბრა მთელ რიგ წარუმატებელ არჩევნებზე, რომელშიც წლების მანძილზე ღებულობდა მონაწილეობას. ბოლოს კი, „როცა მარტო ბრძოლით ვერაფერს გახდა", ჩამოაყალიბა დემოკრატიული პარტია „ერა" როგორც თვითონ თქვა, „პარლამენტში კი არ შევიდა, შეანგრია კარი", სადაც ის იყო ერთ-ერთი „მოჩხუბარი დეპუტატი".

შეკითხვაზე, თუ რით განსხვავდება მისი პოზიცია დანარჩენი კანდიდატების პოზიციისაგან, ასეთი პასუხი გასცა: მე ერთადერთი ვარ, ვინც არასოდეს ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი. მთავრობის პარტიულ ფუნქციონერებს გამოცდილება აქვთ მხოლოდ ე.წ. ვერტიკალურ ურთიერთობებში, არაფერი იციან ჰორიზონტალური ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ. მე, მართალია, არანაირი გამოცდილება არ მაქვს, არც ვერტიკალური, არც ჰორიზონტალური, მაგრამ მე უფრო შემიძლია მივიღო რაღაც ახალი, ვიდრე, ვთქვათ, შევარდნაძემ (რკინიხუბური ლოგიკაა, ვერ შეედავები)... მე ჩემი კონკრეტული პროგრამა მაქვს, როგორი უნდა იყოს მმართველობის სისტემა. ჩვენ ვერ ვიტყვით უარს ბევრ კარგზე, რაც სოციალიზმის დროს იყო. მოკლედ, დაწყებული ფსოუდან, დიდი გეგმებია.

რაც შეეხება შევარდნაძესთან ურთიერთობას...

მეო, — აგრძელებს „მომავალი პრეზიდენტი", — ადრე ვთქვი, რომ კაი ბიჭი ვარ და ეხლაც ამას გავიმეორებო. საერთოდ კი ჯანსაღი ოპოზიციონერი ვარ და დისიდენტში არ შეგეშალოთო. რაც შეეხება შევარდნაძესთან ჩემს ურთიერთო-

გაგრძელება მე-7 გვ.

გრპ-ს პრეს-ცენტრის განცხადება

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ „გზეთი „მიმომხილველი“, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს მასალებს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შესახებ, ნამდვილად არ გამოირჩევა რესპუბლიკელებისადმი სიმპათიით.

ბუნებრივია, ავტორთა უფლებაა შეაფასონ რესპუბლიკელთა ესა თუ ის ქმედება, მაგრამ ფაქტების მიზანმიმართულ დამახინჯებებს რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ.

დავით ბერძენიშვილის და ირაკლი მელაშვილის ევროპაში ვიზიტთან დაკავშირებული პრესკონფერენციის გაშუქებისას, რამოდენიმე სტრიქონიან ინფორმაციაში, სერიოზულ აზრობრივ შეცდომებს და ფაქტებს გაყალბებას აქვს ადგილი.

ყურადღებას არ გავამახვილებთ ისეთ შეცდომებზე, როგორიცაა პარტიის სახელწოდების არასწორი გადმოცემა (გაერთიანებული რესპუბლიკური კავშირი?), მაგრამ როდესაც მომხსენებელი ამბობს:

— ევროპა ზომიერად მკაცრი გახდა რუსეთთან ურთიერთობაში.

— „მიმომხილველი“ კი წერს:

— ევროპა უფრო თავშეკავებული ხდება რუსეთთან ურთიერთობაში — დაგვეთანხმებით, რომ ეს უკვე აღარ არის ტექნიკური ხარვეზები.

ფაქტების შეგნებულმა გაყალბებამ ბოლო აბზაცში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავად განსაჯეთ:

„მიმომხილველი“ წერს:

— რატომ გავიდა გაერთიანებული რესპუბლიკური კავშირიდან მერაბ ურიდია?

— მერაბ ურიდია დაკავეს ნარკოტიკების გამოყენებისათვის. ამ დროს ჩვენ აქ არ ვიმყოფებოდით. მისი პარტიიდან გასვლა, არა მგონია კონფლიქტურ ხასიათს ატარებდეს.

სინამდვილეში კითხვას ასეთი პასუხი გაეცა:

— პარტიულ სიებზე მუშაობის დაწყება დაემთხვა არასასიამოვნო ინციდენტს, რომლის დროსაც მერაბ ურიდია რამოდენიმე ხნით იყო დაკავებული, ხოლო ამ სიების დადგენისას ჩვენ უკვე ევროპაში ვიმყოფებოდით. ბ-ნმა ურიდიამ დატოვა პარტია, მაგრამ მე იმედი მაქვს რომ ჩვენი შემდგომი ურთიერთობა კონფრონტაციული არ იქნება.

სად არის აქ ნახსენები ნარკოტიკები ან მათი გამოყენება? როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

კონფერენციას ესწრებოდა ოკამდე ჟურნალისტი და მთლიანადაა ჩაწერილი დიქტოფონზე.

გაზეთ „მიმომხილველის“ მიხედვით ინფორმაცია მას სააგენტო BGI-სგან მიუღია, თუმცა ვისა აქვს საბოდიშოდ საქმე, ეს თავად გაზეთმა და სააგენტომ გაარკვიონ ერთმანეთში.

გრპ-ს პრესცენტრი

სააგენტო ბოდიშს იხდის

გრპ-ს პრესცენტრმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ BGI-ს მასალებში გრპ-ს წარმომადგენლობის პრესკონფერენციის შესახებ იყო დაშვებული უზუსტობანი. კერძოდ, მერაბ ურიდიას პარტიიდან გასვლის მიზეზებზე, ბერძენიშვილმა უპასუხა შემდეგი:

პარტიული სიების შედგენის დროს მერაბ ურიდია იყო დაკავებული. სიების დაზუსტების დროს ჩვენ უკვე ვიმყოფებოდით ევროპაში. ბ-ნმა ურიდიამ დატოვა პარტია, მაგრამ მე იმედი მაქვს, კონფრონტაციას ჩვენს დამოკიდებულებაში ადგილი არ ექნება.

BGI ბოდიშს იხდის პასუხის დამახინჯებისათვის.

ჯაბა იოსელიანი:

მე რაც ვიზრძოლე, მეყოფა, მადლობა არავინ მითხრა ...

პირველი გვერდიდან

„საშობლის“ საქმე დარბახი აღარ დაგვჭირდა და პატარა ციხეში მშვიდად და შინაურულად ვიმეცადინეთ.

მე პარტია არ მინდოდა...

პარტიებისა და პარტიულების წინააღმდეგ მებრძოლი ხალხადოება „არჩევნები“ იტალებული ცახდ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებულიყო. წინაღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა „პრინციპში ეს პარტია არ არის, ჩვენ არჩევნების შემდეგ დავშლებით“ — დაგვიმედა ბატონმა ჯაბამ. „არჩევნები“ არჩევნებში გამარჯვების იმედს არ კარგავს. „ბოლო დროს დატრიალებული მოვლენები რომ არა (რაც იგულისხმებოდა — გასაგებია ლ.ნ.), ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებდით“ გვითხრა ბატონმა ჯაბამ. თუმცა. მისი აზრით, ახლაც „ძან მაგარი შანსები აქვთ“. თუ ეხდა სასწაული და „არჩევნებმა“ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. იოსელიანი ნაბალადეის ოლქში იერის კენჭს. მას იმედი აქვს. რომ ხალხი იცნობს (ნამდვილად ვერ შეეფავები!) და სწორ არჩევანს გააკეთებს. ისე. „არჩევნებს“ თურმე მეტად მწირი ფინანსური შესაძლებლობები აქვს არჩევნების ჩასატარებლად... ყოველ შემთხვევაში. ასე გვითხრეს.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს. „არჩევნები“ მხარს არავის არ უჭერს. არავინ არ მოსწონს და იმიტომ. „ჩვენ საერთოდ პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგნი ვართ — ამიტომაც მოუხერხი მე ჩემი კანდიდატურა.“ — გვითხრა იოსელიანმა და იქვე დაუმატა: სადაც ლიპარტელიანმა მიიღოს 200 ათასი მხარდაჭერის პოვნა. მე 50 ათასს. როგორ ვერ შევაგროვებდი.

შენც დაბიჯერენ, მეც დამიჯერენ... ბეიკერსაც დაიჯერენ.

როგორც კი წინასაარჩევნო კამპანიე საუბარს მოკრჩით, მაშინვე „მხედრიონზე“ და „მაშველთა კორპუსზე“ დაგიწყეთ ბაასი. ითქვა. რომ ხაჩიშვილი ზიზღილობს. ხოლო დიდი გუგეშაშვილი ეროვნული გმირია. რაც შეეხება დანაშაულის აღიარების ფაქტს. ბატონმა ჯაბამ ერთი ძველი ანეგდოტი გაიხსენა: სტალინმა ჩიბუხი რომ დაკარგა და სანამ ორი დღის შერე. შემოხვევით უფრაზი იპოვიდა. მანამდე ბერიამ სამი კბილი დიჭირა და აქედან ორასორმოცდაათმა თავისი პირით აღიარა ჩიხუხის ქურდობა.

ჟურნალისტებმა ისიც ჰკითხეს ბატონ ჯაბას. „მხედრიონი“ რომ არც ძველ ხელისუფლებას ეპატრონებოდა და არც ახალს. ამაზე რას იტყვიო. „მხედრიონი“ ისეთი ორგანიზაციაა. ვერც ერთ ტოტალიტურ სახელმწიფო სტრუქტურებში ვერ ჩაჯდება. „მხედრიონს“ წევრები თავისუფალი პიროვნებები არიან. დღეს „მხედრიონელობა“ უკვე დანაშაულად აღიქმება — თუმცა. შევარდნაძეც „მხედრიონელია“. თუმც სიმბოლური და თქვენ წარმოიდგინეთ — ბეიკერიც — გვითხრა იოსელიანმა.

ქუთაისში ენა რომ აქთ წაგრძელებული. ის აღარ ახსოვთ. ადრე რას გვეხვეწებოდნენ... ოდონდ გადაგვარჩინეთ და ეს სანატორიუმები სულ თქვენი იქნებაო. თურმე ციხეებს გულისხმობდნენ — გაიცინა ბატონმა ჯაბამ და შემდეგ ხუმრობის გარეშე დაუმატა: ეხლა იმას ვიტყვი. რაც არასდეს მითქვამს. ზვიადი რომ ქუთაისს მიადგა. წინ საქართველოს რუკა დამიდეს და მითხრეს:

— ჯაბა. ხედავ ამ სამ ტანკს. ზესტაფონში რომ დგას?

— ვხედავ.

— ჰოდა. ზესტაფონს აქეთ აღმოსავლეთ საქართველო იქნება და შევარდნაძე. ზესტაფონს იქით — დასავლეთ საქართველო და გამახეურდია. თუ ორ დღეში არ აიღეს ხონს და სამტრედიას.

ჩვენ ორ დღეში ხონიც ავიღეთ და სამტრედიაც...

მერე რაა, რო კონკურენტია

პრეს-კონფერენციაზე იოსელიანს ჰკითხეს. თქვენი კონკურენტი ნაბალადეის ოლქში რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილიაო. რაზეც ბატონმა ჯაბამ უპასუხა — მერე რაა. რი კონკურენტიაო. პრეს-კონფერენციის შემდეგ ბატონ ჯაბას მისი მეტოქის. უფრო კონკრეტული დახასიათება ვთხოვე...

— ბატონო ჯაბა, თქვენ და დათო ბერძენიშვილი 3 წლის განმავლობაში კოლეგები იყავით პარლამენტში. როგორ დაახასიათებდით თქვენს დღევანდელ კონკურენტს?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ... ვერ დავახასიათებ ვერც ასე. ვერც ისე...: რაღაც პოზიციებში თითქოს პრინციპულია. ზოგჯერ თითქოს... არ ვიცი, არ მინდა ეხლა დახასიათება. სხვა დროს უფრო. დავახასიათებდი. ის ვიცი, რომ ძალიან ცუდი როლი შეასრულეს რესპუბლიკელებმა კონსტიტუციის მიღების დროს. თვითონ წამოიწყეს — ეს კონსტიტუციაც არ არისო და ეს მართლაც ასე იყო, ხოლო მერე თქვეს — ეს კონსტიტუციაა. ეს მოხდა სულ ორ დღეში. ეს სუფთა კონიუნქტურა და გარიგების ვარიანტი იყო. ეს მართლაც არ არის კონსტიტუცია. ეს არის კანონი ძალაუფლების შესახებ. ყველაფერი წერია პრეზიდენტზე და პარლამენტზე. ხალხს რა უნდა ჰქონდეს. ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს რომ კონსტიტუცია არ არის. რესპუბლიკელებმა თავის დროზე კარგად თქვეს. მაგრამ შემდეგ გადადექეს.

— ბატონო ჯაბა, თქვენ ფიქრობთ, რომ ბერძენიშვილი თქვენი ღირსეული კონკურენტი ვერ იქნება?

— ყველა ადამიანი ღირსეული ადამიანია. დავით ბერძენიშვილი იქნება ეს თუ სხვა ვინმე. ყველას აქვს ღვთის მიერ ბოძებული რაღაც განსაკუთრებული ნიჭი. ვინ ვის როგორ აირჩევს. არ ვიცი. რატომ არ უნდა იყოს ღირსეული..

— თქვენ მზად ხართ წინასაარჩევნო ბრძოლისათვის?

— მე არავითარი ბრძოლისათვის არა ვარ მზად და არავითარი ბრძოლა არ მინდა. ხალხი მიცნობს იქ და როგორც გადწყვეტენ. ისე იქნება. მე რაც ვიბრძოლე. ისიც მეყოფა. მადლობა არავინ მითხრა.

ლელა ნაკაშიძე

დაუჯერეთ შევარდნაძეს!

ახალციხეს მეთაურმა ზუგდიდის რაიონის ამომრჩეველებთან შეხვედრისას უღრეკად ღირსშესანიშნავი ფრაზა წარმოთქვა. მას ჰკითხეს: ხალხ-ხოგები დადიან და ხალხის მოქრთამვას ცდილობენ — ეუბნებიან. ფულს მოგცემთ და ჩვენ ვისედაც გეტყვით. იმას მიეცით ხმა. შევარდნაძემ წარბშეუხრელად მსუბუქ: ეგ არაფერი. თუკი ვინმე ფულს შემოგაწვდეთ. აიღეთ. ჩაიდეთ ჯიბეში. მერე წადით და ვისაც გინდათ. იმას მიეცით ხმა...

გულახდილად რომ ვლაპარაკობ. ეს ის შემთხვევაა. როცა ახალციხეს მეთაურის პოზიციას ყველა ნორმალური ოპოზიციონერიც დაეთანხმება. მართლაც და. ამომრჩეველს უკეთეს სიტყვას ვერ ეტყვი. ჩვენის მხრიდან ისევ დაგვრჩენია. ყველას მივუწოდოთ. რომ დაუჯერეთ შევარდნაძეს! თუკი ფულს მოგცემენ აიღეთ. მერე კი მიდით ურნებთან და ხმა მიეცით... გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას!..

ირაკლი ბარამიძე

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!



ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან ედუარდ შევარდნაძის თათბირი ტელევიზიითაც გადმოიცა და რადიოთიც. მოდი და ნუ დაეთანხმები კაცს. რომელიც გაიძახის. ქვეყანაში ტერორისტული აქტები ტარდებაო... მართალია. ბატონო. ტარდება. მკვლელები და ტერორისტები უნდა დავიჭიროთო. — აგაშენა ღმერთმა. მიდი მერე — ისევ ვეთანხმები სახელმწიფოს მეთაურს. გაიხსნა ოთხი ტერორისტული აქტი. მაგრამ ბევრი დანაშაული გაუხსნელიაო. აქ ბატონი ედუარდი ჩამოთვლას მოჰყვა და ის - ის იყო მეც თითები მოვამზადე დასათვლელად. რომ ქალაქის პროკურორის. მიხეილ ქურდაძის მკვლელობის ფაქტიც გაიხსენა. მე აქაც სიამოვნებით დავუკანტურებდი თავს სახელმწიფოს მეთაურს. ცოტა ხნით ადრე ბატონ თენგიზ სიგუასთან რომ არ მქონოდა პატარა ინტერვიუ აღებული ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით.

თენგიზ სიგუა: მე ადრეც მქონდა შედარებით ზუსტი ინფორმაცია, რომ გია გულუას მკვლელობის საქმე გახსნილია. მეტსაც გეტყვით, მე ის ინფორმაციებიც მაქვს, რომ გახსნილია ქალაქის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე. მაგრამ აქ საინტერესო თამაშია, მალავენ და რაღაც მომენტისთვის ინახავენ ამას. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულები არიან საქმის გახსნისთანავე ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას. გავიხსენოთ ბორჯომში მომხდარი ფაქტი... დეკემბერში ნახევარმა საქართველომ იცოდა, რა მოხდა და სად მოხდა. ეს ფაქტი მიჩქმალეს და მხოლოდ ახლა ამოიღეს. 3 წელზე მეტი გავიდა ქურდაძის მკვლელობიდან. გახსნილია ეს საქმე, მაგრამ ვიღაცას არ აწყობს, რომ თქვას.

მოკლედ, შევარდნაძე მეუბნება, არ გაუხსნიათო, სიგუა ამტკიცებს, გახსნესო...მე, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაურს და პრეზიდენტობის კანდიდატს უფრო დავუჯერებდი. მაგრამ ჩვენმა ტელევიზიამ გუშინ სულ მომითავა ხელი, 1991 წელს გადაღებული კადრები რომ გვაჩვენა: ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, იგივე ყოფილი უშ[illegible] სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე, იგივე ტერორისტობაში ბრალდებული თემურ ხაჩიშვილი რემბოსავით რომ დარბოდა ხელში იარაღით და ვაჟა ადამიას მანქანაში ტენიდა... მერე ხაჩიშვილის დასაწინაურებლად შევარდნაძეს „სეფა“ სიტყვაც გამახსენდა და სულ დავიბენი... მოკლედ, კია ნათქვამი: თუ გინდა გჯეროდეს, უნდა დაიჯეროო, მაგრამ რავარი დასაჯერებელია, თავად განსაჯეთ.

ტელევიზორთან იჯდა და თვალებს (ყურებსაც) არ უჯერებდა

მარინე ფერაძე

ღია წერილი

პირველი გვერდიდან

ესი კაცი ცხოვრობს) და ქართველი ლტოლვილების ინტერესები.

ბ) გეგმა ქმნის კონფლიქტის მუდმივ კერას, რადგან სიტყვა „ოსეთის“ ხმარება საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის მიმართ ოსი ხალხის წინაშე უპირველეს ამოცანად სვამს ორი „ოსეთის“ — ნამდვილის და უკანონოდ წოდებულის — „გაერთიანების“ ამოცანას.

გ) გეგმა ლოგიკურად აყენებს დღის წესრიგში სხვა არაქართული დიასპორებისთვისაც ანალოგიური ავტონომიების შექმნას და, მაშასადამე, საქართველოს ფაქტობრივ დაშლას.

დ) გეგმა, თუ მისი პრინციპები განზოგადდება, ხიფათს უქმნის კაცობრიობას საერთოდ, რადგან თუ ტერიტორიის სტატუსის ცვლას დავიწყებთ მოსახლეობის დემოგრაფიული დინამიკის მიხედვით, ეს გამოიწვევს მოსახლეობის ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშს სხვა ჯგუფთა დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, რაც ობიექტურ პირობებს შექმნის გენოციდისა და ეთნიკური წმენდისათვის.

ავტორებმა საქართველოს სახელით მოახსენეს თავის მიმართვაში ეუთო-ს ხელმძღვანელობას და ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებს, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა მიიღოს ყველა რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და შეასრულოს უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნები, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნებში დამოწმებული იქნება საერთაშორისო დოკუმენტებში დაფიქსირებული ზოგადმნიშვნელადი, ანუ ყველა ქვეყნისათვის ძალაში მყოფი ნორმები. საქართველო ვერ იმოქმედებს თავისი ინტერესების წინააღმდეგ იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც ჯერ არ არსებობს, ანუ ჯერ არ არის დაფიქსირებული, როგორც ყველა ქვეყნისათვის (უფრო ზუსტად: სათანადო დოკუმენტთა ხელმომწერი ყველა ქვეყნისთვის) სავალდებულო ნორმები.

ვფიქრობ, რომ ამის განცხადება თქვენ გმართებდათ, როგორც სახელმწიფოს მეთაურს. მაგრამ როგორც მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერი, მაინც კმაყოფილი გახლავართ იმით, რომ ამას ჩვენ მაინც ვამბობთ. ეს მიმართვა გამოქვეყნებულია ჯერ რუსულად, მერე ინგლისურად, მაგრამ მისი პასუხი ჯერ არ არის (ნუ ჩამომართმევთ თავმოწონებაში, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მისი პასუხი არცაა შესაძლებელი). მიუხედავად ამისა, ჩემს შეფასებას იწვევს ის გარემოება, რომ ერისა და პარლამენტის ზურგს უკან მოლაპარაკებები გრძელდება და მასში საქართველოს წარმომადგენლობა აკისრია ისეთ ადამიანებს, რომელთაც დღემდე ამ საქმიანობაში მხოლოდ არაკომპეტენტურობა და ერთგულების დეფიციტი აქვთ გამოჩენილი (გვარებს ამჯერად არ ვასახელებ). მორიგი შეხვედრა (და, მე მგონი, მნიშვნელოვანი შეხვედრა) განზრახულია ამა თვის 14-ში ქ.ვლადიკავკაზში. ამასთან დაკავშირებით მოგაგონებთ ამ მძიმე მომენტში თქვენს მოვალეობას ქვეყნის წინაშე და, რათა კიდევ ერთხელ არ მოტყუებდეთ ჩვენი ერისა და სახელმწიფოს საზარალოდ, მოგახსენებთ შემდეგს:

სახელმწიფო საზღვართა ხელშეუხებლობა დღეს აღიარებულია და ეს პრინციპი უახლოეს ათწლეულში ძნელად თუ დაირღვევა (მცირე გამონაკლისის გარდა). მაგრამ ეს ვერ გვანუგეშებს, რადგან, სამაგიეროდ, ძლიერდება სახელმწიფოს შიგნით უმცირესობებისთვის ახალი საზღვრების შექმნის და განმტკიცების ტენდენცია. ეს მოთხოვნა შესაძლოა მრავალი ეროვნული უმცირესობისათვის დაისვას, მათ შორის — მრავალრიცხოვანი უნგრული უმცირესობებისთვისაც რუმინეთსა და სლოვაკიაში. საქართველოში ეუთო-ს მისიის შემადგენლობაში ძალიან მრავალნი არიან უნგრელებიც და უნგრეთთან ტრადიციული მოკავშირეობის მქონე ერთა და სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიფიქროთ, ხომ არ შეუწყობს ეს ხელს ჩვენს შემთხვევაში მისიის დადგომას უმცირესობის მხარეზე, ფართო და საზღვრებგარანტირებული ტერიტორიული ავტონომიის შექმნის რეკომენდაციის ჩათვლით, რაც მნიშვნელოვანი პრეცედენტი იქნება ანალოგიური დავების გადაჭრისათვის ახლო მომავალში. ამ კითხვის დასმის უფლებას მე თავს ვერ მივცემდი, რომ არ მცოდნოდა, რა დიდია ჩვენდამი დღეს აგრესიულად განწყობილი ზესახელმწიფოს გავლენა ამ ორგანიზაციაში და რა ძვირფასია ამ ზესახელმწიფოსათვის ცხინვალის რეგიონში საქართველოს ინტერესთა შელახვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ

ა) საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებები შეუდარებლად უფრო ფართოა და უფრო ფართო იყო ყოველთვის, ვიდრე ეს მიღებულია სხვა ქვეყნებში, და რომ

ბ) მისიის დღევანდელი პოზიცია ვერ უძლებს კრიტიკას და, ამდენად, საქართველოს მხარისათვის იგი ნებისმიერი საერთაშორისო ფორუმის წინაშე დაძლევადია,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სრული საშუალება აქვს თავისი სიმართლე დაამტკიცოს კიდეც და პრაქტიკულად გაიტანოს კიდეც. ამის ვერმიღწევა ან არგაკეთება თქვენი და თქვენს გარშემო არსებული გუნდის მხრიდან, რომელიც დღეს საქართველოს მართავს, დაუშვებელია.

ნოდარ ნათაძე

აფხაზეთის დაბრუნება ჩვენი ამოცანაა

ნოდარ ნათაძე

რუსეთის ფედერაციამ რომ აფხაზეთში იომა კიდეც და ჯერჯერობით გაიმარჯვა კიდეც, ეს საქართველოში ყველამ იცის. რუსეთმა იომა კაზაკებისა და ჩრდილო კავკასიელი „ბოევიკების“ ხელით, ხანდახან საკუთარი ოფიციალური სამხედრო მოსამსახურეების ხელითაც კი. მაგრამ ყველამ არ იცის, რატომ იომა რუსეთმა. **რა ამოცანა** დაისახა მან ამ ომში. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აგონია, რომ რუსეთის მიზანი იყო აფხაზეთის პლაჟების, სანატორიუმების, ციტრუსების და სხვა ბუნებრივი სიმდიდრის ხელში ჩაგდება. ზოგს ისიც ესმის, რომ აფხაზეთის სანაპიროს რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ რუსეთი ხელს ვერ იღებს წყალქვეშა ნავების უნიკალურ ბაზაზე ოჩამჩირეში მისი სარემონტო მოწყობილობითურთ, ბომბორის სტრატეგიულ საჰაერო ბაზაზე და უნიკალურ ლაბორატორიაზე ეშერაში. ეს ყველა მიზანი მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი არ არის. **რუსეთის მთავარი მიზანი ამ ომში იყო და არის საქართველოსთვის შავი ზღვის გზის გადაკეტვა** ჩვენი სანაპიროს მთლიანად წართმევის საშუალებით. საქართველოს ხომ სულ სამი ნავთსადგური აქვს: ბათუმი, ფოთი და სოხუმი. ბათუმში რუსების დივიზია დგას. სოხუმი მათ ხელშია. ზუგდიდში მათი „სამშვიდობო“ ჯარი იმყოფება. საკმარისია პატარა „არეულობის“ მოწყობა ფოთში და რუსები ერთ საათში გაჩნდებიან იქ „წესრიგის“ დასამყარებლად, რათა პორტი დაიკავონ და თავის კონტროლს დაუქვემდებარონ. **ამით შავი ზღვისკენ, ესე იგი ცენტრალური ევროპისკენ და მსოფლიო ოკეანისკენ გზა მეკეტება არა მარტო საქართველოს და ამიერკავკასიას, არამედ მთელ შუა აზიასაც** მისი აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრითა **და სასოფლო-სამეურნეო რესურსებითურთ. ამით, ერთის მხრივ, შუა აზია გამოდის რუსეთის გავლენის სფეროდან და ევროპა-ამერიკის** გავლენის სფეროში ექცევა. **მეორეს მხრივ,** შავ ზღვაზე ჩადგება ტკირთის უდიდესი ნაკადი, რომელიც რუსეთის ნებაზე დამოკიდებული არაა, და შავი ზღვა აღარ იქნება რუსეთის შინაგანი „ტბა“, როგორც ახლა არის. ამიტომ რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა დასავლეთ-აღმოსავლეთის ამ დიდ დერეფნის შექმნა არ დაუშვას. ამას დღეს ჩვენი თვალით ვხედავთ. მაგალითისათვის კასპიის ნავთობი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ უზარმაზარი კომერციული ტვირთისა, რომელმაც დასავლეთ-აღმოსავლეთის ამ დიდ დერეფანში უნდა იმოძრაოს 2-5 წლის შემდეგ.

ეს გეგმა დღეს **რუსეთის ამიერკავკასიური პოლიტიკის ძირითადი და გადამწყვეტი ნაწილია. მასთან შედარებით უმნიშვნელოა ან, ყოველ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანია ამიერკავკასიაში (და, კერძოდ, საქართველოშიც) რუსეთის სამხედრო ბაზების შენარჩუნების გეგმა.** რატომაა იგი უმნიშვნელო? იმიტომ, რომ ეს ბაზები, ისევე, როგორც ყოფილი „ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი“ (ზაკვო) საერთოდ, შექმნილია არა იმდენად სამხრეთიდან საბჭოთა კავშირის **დაცვის** მიზნით, რამდენადაც სამხრეთისაკენ **შეტევის** მიზნით. დღეს კი რუსეთი სამხრეთისკენ შეტევას აღარ აპირებს. ამიერკავკასიაში სამხედრო ბაზების და სამხედრო გავლენის შენარჩუნება დღეს რუსეთისთვის მხოლოდ საშუალებაა ძირითადი მიზნის მისაღწევად — დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის გადასაკეტად. რუსი სტრატეგები არავითარ შემთხვევაში არ დაუყენებენ საშუალებას მიზანზე მაღლა. მაშასადამე, **რუსეთი არ დაგვითმობს აფხაზეთს მისთვის დანარჩენ საქართველოში სამხედრო ბაზების გადაცემის ფასად** (არც წამოსცდენია დღემდე რუსეთის რომელსმე პოლიტიკოსს, დაგითმობთო). აფხაზეთში ჩვენი სახელმწიფოს იურისდიქციის აღსადგენად ჩვენ სხვა გზა უნდა ვეძებოთ.

რა გზით უნდა დაეუბრუნოთ ჩვენს საშობლოს აფხაზეთი?

იმით წართმეულს რომ ტკბილი სიტყვით არავინ დაგიბრუნებს, ეს ცხადია. მაგრამ ცხადია ისიც, რომ სადაც დიპლომატია და პოლიტიკური მეთოდები ჭრის, იქ მათი შესაძლებლობა ბოლომდე უნდა ამოწურო, სანამ ძალას მიმართავდეთ. ჩვენი აფხაზეთში დაბრუნების კონკრეტული გეგმა მე შემდეგნაირად მაქვს წარმოდგენილი:

1. რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარებს ენგურზე (ანუ, პრაქტიკულად, მიელ ზონაში ზუგდიდი-ჯვარიდან ტალამდე და ღალიძგამდე) უნდა მოეხსნათ სამოქმედო მანდატი და ისინი გაყვანილ უნდა იქნენ ამ ზონიდან. ცნობილია, რომ ეს ჯარი დღეს მხოლოდ **საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ** მოქმედებს, სახელდობრ, იგი იცავს აფხაზეთის ქართველების შედწევისაგან და თავუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს არძინბას ხროვას, მაგრამ ამავე დროს არ იცავს გალის რაიონში სტიქიურად შესული ქართველი მოსახლეობის სიცოცხლეს. შეგვიძლია თუ არა ჩვენ, **გარანტირებულად** მივაღწიოთ რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების გაყვანას ამ ზონიდან, ანუ შეუძლია თუ არა რუსეთს არ **გაიყვანოს** ჯარი ამ შემთხვევაში, თუ ჩვენ ამას მოვთხოვთ? დიახ, ჩვენ **შეგვიძლია** რუსეთს გაავყვანინოთ ჯარი ამ ზონიდან და რუსეთს არ **შეუძლია** ჩვენს მოთხოვნაზე უარის თქმა, რადგან რუსები იქ გაეროს მანდატით იმყოფებიან, გაეროს მანდატი კი მათ მხოლოდ ჩვენი მოთხოვნის (ე.შევარდნაძის მიერ მოთხოვნის) საფუძველზე აქვთ მიცემული. საქმე ისაა, რომ დღეს რუსეთს კიდევ უფრო ნაკლებად შეუძლია მსოფლიოს აზრის წინააღმდეგ წასვლა და საქართველოს მიმართ ღია აგრესიის განხორციელება. ვიდრე 1992—93 წლების ბრძოლების დროს შეეძლო. თავისი სახელმწიფო დროშა ჩვენთან ომში მან მაშინაც ვერ გაშალა, არამედ მხოლოდ არაოფიციალური ფორმით, ანუ მალულად და სხვისი ხელით გვეომა. მით უფრო ვერ გაშლის იგი თავის დროშას დღეს, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში დამარცხდა. რაც ბალკანეთზე ნატოს შეიარაღებულ მოქმედებას წააწყდა და რაც ამიერკავკასიაში დასავლეთის ქვეყნების **რეალურმა** ინტერესმა შემოაღიარა ზემოხსენებული ნავთადენის გეგმის სახით. ამგვარად, საქართველოს განცხადება **საკმარისია,** რათა ენგურის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალები გაეყვანენ და აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების ამოცანას მოეხსნას ის ბორკილი, რომელიც მას ჯიოსელიანის მიერ ხელმოწერილმა შეთანხმებამ დაადო.

2. თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ რუსეთის „სამშვიდობო“ ძალების გასვლის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ჩვენი იურისდიქციის აღდგენა ღალიძგამდე მაინც. ეჭვი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგის ძალა, რომელიც შექმნილია რუსეთის კვალიფიციური დახმარებით, **მობილურია** და მას შეუძლია, 2-4 საათის მანძილზე გალის რაიონში ან თუნდაც ენგურის პირა ზონაში აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ გალში **გარანტირებული** დაბრუნებისა და ლტოლვილთა შეყვანისათვის ჩვენ გვჭირდება გარკვეული **მზაობა.** ამ მზაობის მიღწევაც ჩვენ **გარანტირებულად** შეგვიძლია ზემოხსენებული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის პარალელურად. დეტალებს შევნიშნავ **ერთ** ან ვაზუსტებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ შეიარაღებული ძალების მშენებლობაში მხოლოდ **ერთ** წყაროზე ორიენტაციის პოლიტიკა, რასაც **დღეს** საქართველოს ხელისუფლება ადგას — სახელდობრ, მარტოოდენ **რუსეთის** ტექნიკურ დახმარებაზე ორიენტაციის პოლიტიკა — აბსოლუტურად **უპერსპექტივოა. რუსეთი ჩვენ მოგვცემს იმდენ საჭურველს, რამდენიც სჭირდება ოპერაციის დაწყებას და წაგებას, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც სჭირდება მის მოგებას.**

3. ამგვარად, სწორი პოლიტიკის წარმოებისას როგორც დიპლომატიის დარგში, ისე სამხედრო მშენებლობის დარგში ჩვენ შეგვიძლია **გარანტირებულად მიხვალა** ღალიძგამდე მაინც (კოდორის ზონაზე აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებ). ამით ჩვენ ვიგებთ ორ მნიშვნელოვან რამეს. პირველი: არძინბას ხროვას აღარ შეეძლება ხიშტებს ქვეშ „რეფერენდუმების“ ჩატარება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე კოდორის ხეობის ზედაწელის გარდა. მეორე: **ზუგდიდის ზონისა და გალის ზონის გაწმენდით უცხო ჯარისაგან რუსეთს ეკარგება ფოთის დაკავების ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთის ზემოხსენებული დერეფნის გადაკეტვის იმედი. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი იძულებული ხდება გადასინჯოს თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რადგან საქართველო ამის შემდეგ იქნება არა მისი ნების მორჩილი შემსრულებელი, არამედ მისი ანგარიშგასაწევი პარტნიორი — რუსეთისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სივრცის — შავი ზღვის — ვითარებათა რეგულირებაში.** ამით-და მხოლოდ ამით-იწყება დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ჩვენს იურისდიქციაში დაბრუნების ძნელი და მტკივნეული პროცესი. რუსეთისთვის **აზრს კარგავს** აფხაზეთის ოკუპაცია გაეროს და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს იმ ცალსახა მსჯავრის საწინააღმდეგოდ, რომ აფხაზეთი სუვერენული საქართველოს ნაწილია. ამით-და მხოლოდ ამით — იწყება საქართველოს და რუსეთის **ნორმალური** მეზობლური ურთიერთობა. ხანა, რომელიც ხელსაყრელია ორივე მხარისათვის. ეს არის აფხაზეთის **პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით,** ანუ ნაკლები მსხვერპლით დაბრუნების ერთადერთი პრაქტიკული გზა.

4. აფხაზეთის დაბრუნების ამოცანის არსებითი ნაწილია ჩვენი ქვეყნის თვითორგანიზაციის ამოცანა, კერძოდ, აფხაზეთიდან გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად გამოსული ქართველი მოსახლეობის **თვითორგანიზაციის ამოცანა.** იმ ხნის მანძილზე, რაც ამ მოსახლეობამ ლტოლვილობაში გაატარა და კიდევ ატარებს, აფხაზეთიდან გამოსულ ოჯახს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დახმარება ეძლევა და ამ დახმარების უკმარისობის გამო ზოგი ოჯახი საქართველოდან მიდის, ზოგიც ისეთ საქმეს მისდევს, რომლისთვისაც ბუნებით მოწოდებული არაა. საქმის ასეთი ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი არაა, აუცილებელი იყო, სოხუმის დაცემისთანავე შექმნილიყო (და ახლაც აუცილებელია, შეიქმნას) **აფხაზეთიდან გამოსული ქართველების ერთიანი ორგანიზაცია სახელმწიფოს სისტემაში,** რომელიც მოაგვარებს არა მხოლოდ ამ მოსახლეობის დახმარების ამოცანას (ანუ იმ მცირედის განაწილებას, რაც სახელმწიფოს დღეს ამისთვის გააჩნია), არამედ ამ მოსახლეობის დროებითი დასაქმების ამოცანასაც. კერძოდ, მის ჩაბმას იმ საქმეთა შესრულებაში, რომლებსაც საერთო სახელად აფხაზეთის დაბრუნების პრობლემა ჰქვია (შეიარაღებული ძალის შექმნა, სტრატეგიულ გზათა მაცდენა, ლტოლვილი მოსახლეობის დაცვა გაუანტვისაგან და მრავალი სხვა). ასეთი ორგანიზაციის შექმნა არა მარტო საჭიროა, არამედ საკმაოდ შესაძლებელიც. ცხადია, მას სათავეში უნდა ედგას თვით ამ მოსახლეობისათვის აბსოლუტურად სანდო პიროვნება ძალიან მაღალი თანამდებობის პირის რანგით.

5. დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია, აფხაზეთის დაბრუნებას ჩვენი ქვეყნის იურისდიქციაში და ქართველი მოსახლეობის დაბრუნებას თავისი სახლებში უკეთესი იდეოლოგიური საფუძველი მივცეთ მსოფლიოს თვალში, ვიდრე ახლა გაძლევთ. ჯერ ერთი, არძინბაზე და მის ხროვაზე უნდა გაცემული იყოს დასჯა-ბრების სანქცია, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებზე, და მათთან მოლაპარაკების არ უნდა ვაწარმოებდეთ, როგორც მხარესთან. მეორეც, მსოფლიომ უნდა იცოდეს ყველა ოფიციალური დოკუმენტიდან, რომ აფხაზეთი მხოლოდ აფხაზების ქვეყანა კი არაა, არამედ ქართველებისა და აფხაზების, ან, თუ გნებავთ, აფხაზებისა და ქართველების ქვეყანაა. ანუ აფხაზეთი ის ტერიტორიაა, რომელზედაც ქართველი მოსახლეობა **მკვიდრი მოსახლეობაა** ისტორიის პირველი დღეებიდანვე. და ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოებრიობა (VIII ს.) მხოლოდ ქართულენოვანი იყო მაშინაც კი, როცა მსოფლიოში სხვა ქართულენოვანი სახელმწიფო აღარ არსებობდა (არაბთა მიერ დაპყრობის გამო). მაშინ ჩვენი ვერც ერთი ოპონენტი ვერც გაეროდან და ვერც სხვა რამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან ვეღარ გაიპეიორებს აფხაზი სეპარატისტების საბუთს „აბა, ჰკითხეთ აქ მაცხოვრებელ ამა და ამ ქართველს. პაპამისი სად მარხია — აქ თუ რაჭაში ან სამეგრელოში?“.

აი, ასეთი გახლავთ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების ყველაზე რეალური გზა დღეს — გზა, რომელიც გონივრულ და მტკიცე პოლიტიკასთან ერთად შეიარაღებული ძალის შექმნასაც მოიცავს. ზემოთ ჩამოთვლილი ხუთიე ღონისძიება საქართველოს რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებშია. ამ გეგმას განაფიქლოება არ სჭირდება. მისი განხორციელების აუცილებელი პირობაა საქართველოში ეროვნული მთავრობის არსებობა, რომელიც მხოლოდ საქართველოს ინტერესებში იმოქმედებს და არ დაემორჩილება უცხო ქვეყნის კარნახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გავიყვანთ სპ

რესპუბლიკელების წინასაარჩევნო პრეზენტაცია



ნოდარ ნათაძე

(№1. მთაწმინდის ოლქი)

პარლამენტში გაერია, გნოლის
ჯოგსა ვითა ქორი.
კაცი კაცსა შემოსტყორცნა,
არ დაინდო ბარე ორი,
მასთან ყველა მოპაექრე
ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
მთაწმინდაზე კანდიდატი
სხვა ვინ ნახოთ მისი სწორი.

თედო პაატაშვილი

(№25 წალკის რაიონი)

მაქვს მკერდს მიდებული მიკროფონი ძველი,
ჩემთვის გამობრწყინდა ჟამი საბრძოლველი,
კარგად ამირჩია, ვინაც ამირჩია, როცა ამირჩია
როგორც ქარტიელი.
ახლა ისევ ისე ურნებთან მოგელით,
წალკაში მივდივარ მე, ძველი ვერელი
ისევ ამირჩიეთ, კარგად ამირჩიეთ,
ახლაც ამირჩიეთ.
ვით რესპუბლიკელი.

ვახტანგ ხმალაძე

(№2, ვაკის ოლქი)

განა მე ხმალი არ მიკვეთს, ან
სიმახვილე ენისა,
პარლამენტს მივალებინე
კონსტიტუცია ერისა,
ვაკეში მე ხმებს მომცემენ, ამას
არ უნდა მისანი,
არვისგან დაიწუნება რესპუბლიკელთა
მიზანი.



ვახტანგ ძაბირაძე

(№51 ზესტაფონის ოლქი)

ამას, იმას რომ
ძაბირაძე არ ავირჩიოთ,
ხოლო მისა წილ
„მოქკავშირლებს“ ავუბათ შხარი,
ვინ მოგვიწონებს,
ანდა რატომ მოგვიწონებენ,
ერთი მითხარი.
ვახტანგის ადგილს ვერ დაიჭერს
ვინმე ხეჩუა,
დაგვექცევა საქართველო
თვალს და ხელს შუა.

დავით ბერძენიშვილი

(№9 ნაძალადევის ოლქი)

ისმინე ამომრჩეველო, მიჰყევ
დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამეთ, აწ ტკბილი —
არ დაჰყვეთ ჯაბას ნებასა.
ბერძენიშვილის არჩევა სუყველას
მოგგვრით შვებასა,
რას ვამბობ იმას ვასრულებ,
სიტყვას არ ვაგდებ მე ბანსა.



შოთა ნადირაშვილი

(№41 ნინოწმინდის ოლქი)

მას არ ამშვენებს ხარისხი,
თავად ამშვენებს ხარისხსა.
ხმა მივცეთ უნდა თამამად, —
რქანიც ხნავს ბებერ ხარისა.

ივლიანე ხაინდრავა

(№3 საბურთალოს ოლქი)

ამაოა ეს ცხოვრება, აქ მოკლეზე
ვერვინ გავა,
წუთისოფელს ეომება ზოგი ლევად,
ზოგი პრავად,
მოშორდები პოლიტიკას, მაინც
ჩხუბი, მაინც დავა,
წადი, წადი პარლამენტში,
პარლამენტში ხაინდრავა.



ნოდარ გრიგალაშვილი

(№36 ბორჯომის ოლქი)

ქვეყანას რადგან უჭირს ძალიან,
ქვეყანა რადგან არის დაშლილი,
დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია,
და ნოდარი დგას გრიგალაშვილი.



რომან გოცირიძე

(№8 დიდუბის ოლქი)

საქართველოში კი არა,
ამერიკაშიც იციან —
გახვრეტილ გროშის ფასია
უშენოდ ოპოზიცია.

თამაზ დიასამიძე

(პარტიული სიით)

აჭარელი ვიყავ განა,
გულფიცხი და შავგვრემანა.
პარლამენტშიც სიტყვა მითქვამს,
უსაქმური ვიყავ განა.
დემესიენ უბირები
აქ რჩეულა, იქ ასლანა.
გავკარი და გამოვკარი,
არ დამჭირდა ბაბას დანა.
თუ ხელახლა ამამირჩევთ,
ქეც ვაცეკვებ განდაგანას.

...ვიდოგოს

ოთარ ზოიძე

(№83 ხელვაჩაურის ოლქი)

ოთარ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა დანდობა.
ერთხელ ჯობია არჩევა
სულ მუდამ კანდიდატობას.



გურამ ბერიშვილი

(№7 ჩუღურეთის ოლქი)

ბერიშვილმა დაიქადნა:
„საქმეს ვიზამ საზარელსა,
რჩეულიშვილს მშრალზე
დავსვამ
ბიხით გამოიჭრის ყელსა“.
ჩუღურეთში იძახიან:
„ლავე ბიჭი არის ესა.
სიტყვას არვის არ შეარჩენს,
ღმერთი როგორ წაახდენსა
სოციალისტ რჩეულიშვილს
ნაღდად გვირჩევნია ესა“.

ფრიდონ საყვარელიძე

(№24 დმანისის ოლქი)

დმანისისაკენ მივდივარ,
ვერ მომაბრუნებს ქარიო;
წინ შამეყარა ედვარდი,
წითლად უჩანდა მხარიო.
ვამსგავსე ცეკას მდივანსა,
ღმერთო, გვაშორე ავიო.

ბესო ფაჩუაშვილი

(პარტიული სიით)

შენმან მზემან, უშენოსა არვის
მიხვდეს კენჭი შენი,
„მოქალაქეს“ ხმას არ მივცემ,
მომივარდნენ, თუნდაც ბევრნი,
თუ გინდა რომ გაიმარჯვო,
გამოიღე შენაც ხელი,
თორემ განა დაილია
„თბილისელი“, თანაც ხელი?

ნუ მოგერიდებათ თვითრეკლამის!

ღია წერილი გაზეთ «საქართველოს» რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

მე თქვენი გაზეთის ერთ-ერთი რიგითი მკითხველი ვარ და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გულშემატკივარი. შესაძლოა ჩემი აზრი ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ერთი მოკრძალებული შენიშვნის გამოთქმა მაინც საჭიროდ ჩავთვალე, იმედია არ მიწყენთ და კადნიერებაში არ ჩამომართმევთ.

ახლა კონკრეტულად: მე მეჩვენება, რომ პარტია, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ვერ ახერხებს საკუთარი საქმიანობის ჯეროვან რეკლამირებას. რის გამოც, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას, თითქოს რესპუბლიკელებს თავმოსაწონი არაფერი გააჩნიათ, არადა თუკი ვინმეს აქვს დღეს ხმა ამოსაღები, სწორედ რომ რესპუბლიკურ პარტიას.

რა მაქვს მხედველობაში?

დღეს ოფიციოზმა პირდაპირ ყურთასმენა გამოგვიჭედა მხედრიონელთა შავბნელი საქმეების მხილებით. არადა რესპუბლიკელები ჯერ კიდევ როდის მოითხოვდნენ „მხედრიონის“ დაშლას და „მაშველთა კორპუსის“ გაუქმებას. ამის შესახებ ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ თვით „მხედრიონის“ ყრილობაზეც კი განაცხადა. საპარლამენტო უმრავლესობა კი მაშინ, ჯაბა იოსელიანის ანეგდოტებზე ხითხითებდა...

რესპუბლიკელები ეროვნულდემოკრატებთან ერთად ასევე აქტიურად მოითხოვდნენ უშიშროების შეფის, იგორ გიორგაძის გადაყენებას. შევარდნაძის მხარდამჭერი უმრავლესობა მაშინ მკერდით ეფარებოდა „კომანდორს“, ახლა კი, შორს რომ დაიგულეს, გუდას პირი მოხსნეს — თურმე გიორგაძე ქვეყნის დამაქცევარი და მთავარი ტერორისტი ყოფილა.

რესპუბლიკელები ყოველთვის კატეგორიულად მოუწოდებდნენ ყურადღება მიექციათ ეროვნული ვალუტისთვის, მაშინ, როცა „შევარდნაძისტებს“ სამანეთო ზონისკენ ეჭირათ თვალი.

პირველად სწორედ რესპუბლიკელთა ფრაქცია გამოვიდა წინადადებით, რათა სახელმწიფოს მეთაურს თვითონვე შეეთავსებინა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა (რამაც შემდგომში კონსტიტუციაში ჰპოვა ასახვა) და მაშინ ეს მოთხოვნა რატომღაც „არარეალურად“ იქნა გამოცხადებული. არადა ვინ უშლიდათ? ფაცაცია მოაწყობდა შეთქმულებას თუ ზურაბ კერვალიშვილი შექმნიდა შეიარაღებულ ფორმირებას?

იქნებ ისიც გავიხსენოთ, რესპუბლიკელთა მიერ შეთავაზებული მთავრობის რეორგანიზაციის პროექტიდან რამდენი რამ შევიდა კონსტიტუციაში. თავის დროზე კი შევარდნაძე ლამის აღშფოთებული იყო: ვინ თქვა ამ პროექტზე „მომავლის პროექტიაო“, რად გვინდა, ვის სად დაკარგვიაო...

და საერთოდ: რომ პრა რესპუბლიკელები, დღეს საქართველოს კონსტიტუცია არც ექნებოდა. სწორედ მათმა ხმებმა გადაწყვიტა კონსტიტუციის ბედი. და თუ ეს კონსტიტუცია იმაზე ბევრად უკეთესია, ვიდრე თავიდან იყო წარმოდგენილი, აქაც რესპუბლიკური პარტიის დამსახურება არცთუ უმნიშვნელოა.

მსგავსი ფაქტების გახსენება კიდევ შეიძლება. მაგრამ ჩემი ნათქვამი ერთია და ყველაფერ ამას სათანადო პროპაგანდისტული კამპანია ჭირდება. როცა ჯუმბერ პატიაშვილს ათასობით მხარდამჭერი გამოუჩნდება — ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენს საზოგადოებას ძლიერ მოკლე მეხსიერება აქვს. ხალხს თავი ხშირ-ხშირად უნდა გაახსენო, მითუმეტეს, თუკი სათქმელი გაქვს. ასე რომ, თუ პარტია მეტ ყურადღებას დაუთმობს თვითრეკლამას, მხოლოდ მოიგებს. ამის საშუალება დღეს, წინასაარჩევნო პერიოდში, (ვგულისხმობ მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა გამოყენებას) ნამდვილად არის. ბევრს საერთოდ არაფერი აქვს თავმოსაწონი, მაგრამ ამომრჩეველს ასჯერ რომ ერთსა და იგივეს გაუმეორებ, ყველა თუ არა, ნახევარი მაინც დაიჯერებს.

პატივისცემით
თემურ შერაზადიშვილი
ტექნიკური უნივერსიტეტის
დოცენტი

(დასასრული. დას-წყისი №26, 27, 28, 29, 30, 31, 32)

ჯ. ბარონი
სუკ-ი
საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

საბოტაჟი დიობდა კანადაში. მაგრამ 1946 წელს შშობლებმა იგი უკანვე. შშობლიურ ჩეხოსლოვაკიაში წაიყვანეს. მაშინ 16 წლისა იყო. ბამბისი, ვისთვისაც კომუნიზმი ნამდვილი რელიგია იყო, სლოვაკიის ერთ-ერთი სასოფლო რაიონის პარტიული მდივანი გახდა.

ანტონ საბოტკამ მუშაობა დაიწყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. მის საქმიანობას შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ჩაყვანა დანიშნულების ადგილას. თავიდან იგი ხალისით უჭერდა მხარს გლეხური მეურნეობების კომუნისტურ კოლექტივიზაციას. მრავალგზის ჩატარებულმა მემკვიდრეობის გადანაწილებამ ოთბებზე სანსავი მიწების დიდი ნაწილი მის რაიონში დანაწევრა პატარ-პატარა, უცნაური ფორმის მიწის ნაკვეთებად. ანტონს ძალზე ლოგიკურად ეჩვენებოდა მათი გაერთიანება დიდ მეურნეობებად, და სადაც შესაძლებელი იქნებოდა, მიწის დამუშავება მექანიზებული მეთოდებით. ამგვარად, როცა 1951 წელს სახელმწიფო საიდუმლო პოლიციამ მიმართა მას თხოვნით, მიეწოდებია ინფორმაცია კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგეთა შესახებ, ის დათანხმდა. ხოლო იმ დროისათვის, როცა მიხვდა, რომ სინამდვილეში გლეხები გაწირეს თანამედროვე მონობისათვის, იგი უკვე განუყოფელი ნაწილი იყო პოლიტიკური პოლიციურ-ინფორმაციული სისტემისა, რომელიც დომინირებს კომუნისტური ქვეყნების სოციალურ „ლაბდმაუტზე".

მისი ბედნიერების ერთადერთ წყაროდ იქცა მისი ცოლი, ახალგაზრდა ქალი მეზობელი სოფლიდან, რომელთანაც იქორწინა 1953 წელს. მათი ქორწინება, ისევე როგორც მისი შშობლებისა, იყო მყარი და ბედნიერი. სხვა მხრივ საბოტკა ხედავდა, რომ ჩეხოსლოვაკიაში მას ელოდა ბნელი და უშინაარსო მომავალი. იგი ოცნებობდა კანადაზე, ქვეყანაზე, სადაც იქედი და რწმენა მისთვის მომავლის სინონიმები იყო.

ერთხელაც, 1957 წელს, სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის თანამშრომელმა, რომელთანაც საბოტკას კავშირი ჰქონდა, შემთხვევით გააცნო მას ერთი რუსი, სახელად მიხეილი, თავაზიანი, უცხოურ კოსტუმში ჩაცმული. ტაქტიანი და თავშეკავებული მიხეილი თავისი სიკარგით გამოირჩეოდა იმ რუსებისაგან, რომლებთანაც საბოტკას უხდებოდა შეხვედრა. ეს კაცი მე-13 განყოფილების თანამშრომელი იყო. რამდენიმე შეხვედრისა და ერთი შეხედვით არანაირი მნიშვნელობის მქონე საუბრების შემდეგ უზადო ჩეხურით რომ მიდიოდა ჭიქა ლუდზე. მიხეილმა ჰკითხა: „გინდოდა დაბრუნებულიყავი უკანვე კანადაში ან დასავლეთის რომელიმე სხვა ქვეყანაში?"

„თუ დაბრუნებაა, მე მხოლოდ კანადაში დავბრუნდებოდი". — უპასუხა საბოტკამ.

„წახვიდოდი ოჯახის გარეშე?"

„არასოდეს". — გადაჭრით თქვა საბოტკამ.

„აი, კარგია, — თქვა მიხეილმა. შენ უნდა გადახვიდე პრაღაში და დაიწყო იქ სწავლა. მოიტანე შენთვის რაიმე საშუშაო და ბინა; ცოლს კი უთხარი, რომ იწყებ სწავლას საღამოს სკოლაში. რა თქმა უნდა, შენ შეგეძლება ჩამოხვიდე მასთან კვირის ბოლოს".

სუკ-ის ოფიცერს გადაკვრითაც კი არ უთქვამს, როდის შესძლებდა საბოტკა კანადაში წასვლას ან რა უნდა ეკეთებინა იქ. მას მხოლოდ ერთი რამ ესმოდა: მისგან მოელიან რაღაცგვარ საიდუმლო საქმიანობას, მაგრამ ამ მომენტში მას ეს ცოტათი თუ აღელვებდა. მოულოდნელად გამოჩენილმა იმედმა გადარჩენისა კანადაში წასვლის საშუალებით, ავსო იგი გრძნობით, რომელსაც განიცდის კაცი, საშუალო პატიმრობა რომ აქვს მისჯილი და უეცრად შეიწყალებენ.

საბოტკა ყველა მონაცემით გამოდგებოდა სუკ-ში მუშაობისათვის. მისი შშობლები ურყევი კომუნისტები იყვნენ. თვითონ წარსულში იყო პოლიციის სანდო ინფორმატორი, ინგლისურად ლაპარაკობდა როგორც ნამდვილი კანადელი და იცოდა კანადური ხნე-ჩვეულებები; მისი კანადური მოქალაქეობაც უზრუნველყოფდა კანადაში ცხოვრების უფლებას. მიუხედავად ამისა, სუკ-ს უნდოდა ჰქონოდა კიდევ უფრო მეტად საეჭვოლი ინგარანტიები.

მეორე მომდევნო წლის განმავლობაში საბოტკა მუშაობდა სატვირთო მანქანის მძღოლად დღისით, სალამოთი კი ქალაქის განაპირას რომელიღაც კონტორაში სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის აგენტები ასწავლიდნენ მას მორზეს ანბანს, თვალთვალის ხელოვნებას და მის გამოცრობას. მიხეილს იგი კვირაში ორჯერ ან სამჯერ ხვდებოდა, რაც წარმოადგენდა მისი პირადი თვისებების შემოწმების ნაწილს. ისევ და ისევ რომ გრძელდებოდა. ისინი საუბრობდნენ პოლიტიკაზე. რელიგიაზე. სიყვარულზე. ქორწინებაზე, ომზე და სხვა მრავალზე. იმავე დროს ესწრებოდნენ ჰოკეისა და ფეხბურთის მატჩებს, სადილობდნენ პატარა რესტორნებში ან უბრალოდ დასეირნობდნენ პრაღის ქუჩებში. მიხეილმა, რომლის დანტერესება რელიგიით საბოტკას ძალიან უცნაური ეჩვენებოდა, როგორღაც მოიხსენია, რომ რუსებმა მღვდლები დაზვერვის აგენტებად გამოიყენეს. ერთხელაც მან ანტონს ჰკითხა: „გაქვს შენ ბიბლია?"

„არა", უცრუა საბოტკამ.

„არაფერი ცუდი არაა იმაში, რომ ბიბლია გქონდეს, — თქვა რუსმა, — მე მაქვს".

მხოლოდ ერთხელ მიხეილმა გაკვრით აგრძნობინა, რომ სუკ-ი კმაყოფილია საბოტკას წარმატებებით. მას თვალი დარჩა ჩაცვლილ მანქანაზე. მიხეილმა ეს შენიშნა და უთხრა: „ნუ დარდობ. ოდესმე შენც გექნება მანქანა და გაცილებით დიდი ამაზე". 1958 წლის ოქტომბრის ბოლო იყო უკვე, როცა საბოტკამ გაიგო, რომ იგი ბოლოს და ბოლოს, მიღებულია. სუკ-ის თანამშრომელმა აცნობა მას: „მომავალ კვირაში შენ მიდიხარ მოსკოვში ნამდვილი სწავლებისათვის".

მოსკოვის აეროპორტში მას დახვდა მეგობრული, საკმაოდ ტლანქი 40-მდე წლის რუსი, რომელმაც საბოტკას ინგლისურად მიმართა. „დამიძახე მაიკი". — უთხრა მას. მაიკი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საბოტკას სწავლებისათვის, სინამდვილეში იყო მიხეილ მიხეილის-ძე ანტიპოვი, სწორედ ის ანტიპოვი, რომელიც მოგვიანებით გაერო-ს თანამშრომლის სტატუსით, იმალებოდა და ატარებდა „B" განყოფილების ოპერაციებს, შიმართულს შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ანტიპოვის მიერ გამოვლენილმა ცოდნამ ჩრდილოეთ ამერიკის შესახებ და საიდუმლო მეთოდების გამოყენების საქმეში მისმა ჩახედულობამ, დაარწმუნეს საბოტკა, რომ ეს რუსი უკვე მუშაობდა კანადაში ან შეერთებულ შტატებში როგორც არალეგალური აგენტი.

გარდა ამ რამდენიმე დაწვრილებითი ინსტრუქციისა, სუკ-მა საბოტკას არავითარი ცოდნა არ მისცა ძირითადი საშუშაოს შესახებ, რასაც მისთვის სახავდა. ანტიპოვის მიკიბულ-მოკიბული განმარტებებით იგი მხოლოდ ვარაუდობდა, რომ მისგან შეიძლება მოითხოვნილ იქნეს „განსაკუთრებული" დავალებების შესრულება „კრიხისის" დროს. მაგრამ იგი არ იყო დარწმუნებული იმაში, გეგმავდნენ თუ არა სუკ-ში მის გამოყენებას საბოტაჟის უშუალოდ შესრულებაში, თუ მას მხოლოდ უნდა შეერჩია ობიექტები საბოტაჟისათვის. გადაკრულმა სიტყვებმა იმაზე, რომ მას მოუწევს იყოს „ორგანიზატორი", უბიძგეს ეფიქრა, რომ ის იშუშავებს სხვებთან ერთად. მაგრამ ანტიპოვმა სრულიად მტკიცედ გააფრთხილა იგი, არასოდეს არ ცდილიყო დამოუკიდებლად ეწარმოებინა გადაბირება ან წარემართა საიდუმლო საქმეები ვინმესთან ერთად. ცენტრიდან წარგზავნილების გამოკლებით, და მათთანაც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი კარგად გაცნობენ ყველა პარიზელს.

სუკ-ს არც სურვილი ჰქონდა, არც მიზეზი გაეანთლებია საბოტკა მომავალი საქმიანობის შესახებ. პირველ რიგში მას ასწავლეს ჩუკავშირად საქმახური მოსკოვსა და ჩრდილოეთ ამერიკაში დიეურსიულ ქსელს შორის. მან იცოდა როგორ უნდა შეეგროვებინა ინფორმაცია აგენტების სამალავებიდან და გადაეცა პატაკი ცენტრში რადიოთი ან ფოსტით; როგორ მიეღო დაშიფრული ინსტრუქციები რადიოთი და ჩაედო ისინი სამალავებში. მას შეეძლო დათვალიერებით გამოევლინა იმ ობიექტების სუსტი მხარეები, რომელთა შესახებაც სუკ-ი მოსთხოვდა ამის გაგებას. და ამასთან ერთად, იგი ფლობდა საკმარისი ოდენობით ელემენტარულ ცნობებს იმის შესახებ, როგორ ჩაეტარებია დიეურსიული აქტი ან მოეკლა ვინმე სუკ-ის ბრძანებით. კანადის უზარმაზარი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის განაპირას განლაგებული ედმინტონი, გარშემორტყმული იყო მრავალგვარი ნაგებობით, განსაკუთრებით ნავთობსადენებით, რომელთა დანგრევა სერიოზულ ზარალს მიაყენებდა ქვეყანას. საბოტკასათვის შეიძლებოდა განსაკუთრებული დავალების მიცემა ნებისმიერ დროს, როცა კი სუკ-ი მზად იქნებოდა გამოეყენებია იგი. სუკ-მა შეცდომა ჩაიდინა საბოტკას შერჩევითა და მომზადებით, რადგან ეს იყო ადამიანი, რომლის მთავარი ოცნება საბჭოთა წყობიდან გაქცევა იყო. საბოტკას არავითარი დაბრკოლება არ ჰქონდა კანადის პასპორტის მიღებაში. რაზედაც მას დაბადებიდან ჰქონდა უფლება, და 1961 წლის 29 მაისს იგი დაეშვა მონრეალის მიწაზე თავის ცოლშან და ექვსი წლის ვაჟთან ერთად. მისმა ბიჭმა საბაჟოზე გაიტანა სათამაშოი ავტომობილი, რომელშიც სუკ-მა დამალა კოდური ბლოკნოტები, მიკროფილმები, ინსტრუქციებით, მოწყობილობები მიკროფილმების წასაკითხად და ფოტოაპარატი „მინოკს"-ი. ხელში ეჭირა ჩემოდანი, რომლის სარჩულში ჩაკერებული იყო ხუთი ათასი დოლარი ძველ კანადურ კალუტაში. ედმონტონში საბოტკამ დაიწყო მუშაობა კლიენტების სახლებში მოსიარულე გაყიდვის აგენტად. იყიდა ძველი კარკასიანი სახლი, რომელიც თავისი ხელით გაარემონტა. გადალახა რა თავდაპირველი დაბნეულობა, რომელსაც კანადური ცხოვრების ტემპისა და შედარებით სირთულის გამო განიცდიდა, ოჯახმა დაიწყო სწრაფად შეჩვევა ახალი გარემოსადმი. მალე ისინი თავს ნამდვილ კანადელებად თვლიდნენ.

წერილები, რომელთაც საბოტკა რეგულარულად წერდა თავის მამას, ასევე აცნობდა სუკ-ს მის მდგომარეობას. სუკ-ში მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როცა იგი ჩვეულებრივ კანადელად გადაიქცეოდა. როცა ვერავინ შეიტანდა ეჭვს, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა დაქირავებულ მკვლელს ან დიეურსანტს. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში მას არ ჰქონდა კავშირი სუკ-თან. წლითი წლობით იზრდებოდა საბოტკას იმედი, რომ იგი დავიწყდათ. და მოულოდნელად 1965 წლის 28 მარტს მასთან სახლში დარეკა ტელეფონმა. უცნობმა ხმამ იკითხა: „შემთხვევით ბრნიში ხომ არ ყოფილხართ?"

შიკრიკი აღმოჩნდა ოლეგ ნიკოლოზის-ძე ხომენკო, მრჩეველი საბჭოთა საელჩოდან ოტავაში, რომელიც ედმონტონში ჩამოვიდა მოისეევის ანსამბლისათვის ხელის შეწყობის საბაბით. მან საბოტკას მოსთხოვა, შეხვედროდა ნახევარი საათის შემდეგ ერთ-ერთი მოტელის მახლობლად. როცა საბოტკას მანქანაში ჩაჯდა, ხომენკო გულიანად მიესალმა მას. აღნიშნა, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ რამდენიმე წუთია. მან დაავალა საბოტკას ეყიდა მძლავრი რადიომიმღები და გადასცა მოსკოვიდან გადაცემების განრიგი.

საბოტკამ არ იცოდა, როგორ აეხსნა თავისიანებისათვის მისი უეცარი გატაცება რადიოთი; რრი აეხსნა აუცილებლობა ისა, ჩაკეტილიყო ღამ-ღამობით სარდაფში, სადაც იგი შიფრავდა მიღებულ ცნობებს. ერთ-ორ შეცდომას, გაპარულს მორზეს კოდის ციფრული ჯგუფების გაშიფვრისას, შეეძლო მისი მუშაობა რამდენიმე საათით გაეხანგრძლივებია. თვით მიმართეაც ხშირად აღიზიანებდა უბრალოდ. ერთხელ, მაგალითად. საბოტკამ თითქმის დილის ოთხ საათამდე იმუშავა, რომ გაეშიფრა ასეთი ტექსტი: „ძვირფასო მეგობარო, გულითადად გილოცავთ პირველი მაისის დღესასწაულს და გისურვებთ ბედნიერებას და წარმატებას მუშაობაში. შენი მეგობრები".

გაგრძელება იქნება

პრესკონფერენცია

ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ...

XXI საუკუნეში — შევარდნაძის გარეშე

11 ოქტომბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართა საარჩევნო ბლოკ „XXI საუკუნე — კ.გამსახურდიას საზოგადოება — კოალიცია „ერთიანი საქართველო"-ს პრეს-კონფერენცია.

ბლოკის თავმჯდომარეა ბატონი ირაკლი გოცირიძე. მიზანი — ახალ პარლამენტში მოხვდეს რაც შეიძლება ბევრი ისეთი პიროვნება, რომლებიც დღევანდელ პარლამენტართაგან განსხვავებით თავდაუზოგავად იბრძოლებენ იმისათვის, რათა დაუყოვნებლივ გაუმჯობესდეს საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, დამყარდეს პარტიებს შორის ცივილიზებული ურთიერთობა, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდეს მაღალი ზნეობის დამკვიდრება, რამეთუ ეს არის საძირკველი, რაზეც შენდება ყველაფერი — პოლიტიკაც, ეკონომიკაც, კულტურაც. საქართველო უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ნეიტრალური სახელმწიფო. ამ მიზნით უნდა დაიწყოს ინტენსიური მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან და რეგიონს სხვა მოსაზღვრე ქვეყნებთან, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე უნდა გახდეს ახალი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი.

ბლოკის წევრები არიან ბატონები: ელიზბარ ჯაველიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, გივი გაჩეჩილაძე, სოსო სიგუა, ირაკლი კენჭოშვილი, ბიძინა გიორგობიანი, მამუკა წიკლაური, თამაზ კერძევაძე და სხვები.

„ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს სოციალ-დემოკრატებმა, მონარქისტებმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ და სხვებმა. მაგრამ ჩვენ ყველას მოვუსმინეთ და მათ წარვუდგინეთ ჩვენი მოთხოვნა: თუ თქვენ აღიარებთ თქვენს შეცდომებს, ჩადენილ დანაშაულებს, თუ აღიარებთ, რომ უარყობთ „ესენგეზი" ყოფნას ნებისმიერი ფორმით, მაშინ ჩვენ შეგვეძლება თქვენთან დიალოგის გაგრძელება. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა ჩვენი ეს წინადადება ვერ მიიღო", — აღნიშნა ბ-ნმა ირაკლი გოცირიძემ.

„ჩვენი ბლოკი თავს იკავებს საპრეზიდენტო არჩევნებისაგან. ჩვენში ჰარმონიულად ჩამოყალიბებული პიროვნებები თითქმის არ ჩანან. ამიტომ ჩვენი საზოგადოება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის და განსაკუთრებით ამერიკული მოდელისათვის არ არის მზად", — თქვა გივი გაჩეჩილაძემ. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რომელ კანდიდატურას ისურვებდნენ პრეზიდენტად, ბ-ნმა ირაკლიმ უპასუხა, რომ ალბათ ყველას, გარდა ედუარდ შევარდნაძისა, რადგან „ის არის ჩამოყალიბებული მენტალიტეტის ადამიანი, მას სხვაგვარად აზროვნება არ შეუძლია ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს, მას საქართველოს არსებობა რუსეთის გარეშე ვერ წარმოუდგენია. თუმცა, გვჯერა, რომ სამშობლო მას ისევე უყვარს, როგორც ჩვენ, მაგრამ არასწორი გზით მიჰყავს სახელმწიფო. აი, სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ ის არ შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტი".

„რაც შეეხება რეპრესიებს, ბლოკს ამ მხრივ თითქოს მშვიდი მუშაობის საშუალებას აძლევენ, მაგრამ „ე.წ. „ზვიადისტები" დღესაც ციხეში არიან. ჩვენს მიმართაც იღებენ გარკვეულ ზომებს. გორში საზოგადოებასთან შეხვედრა გვქონდა დაგეგმილი, ორი დღის განმავლობაში გორის გზები გადაკეტილი იყო და საპასპორტო რეჟიმი გამოიცხადეს. ასევე ზესტაფონში. იქ ცოტა სხვა ფორმით გვებრძოდნენ, ყველა კლუბის დირექტორი გადამალეს და მერე, როცა პარკში ჩავატარეთ აქცია, სამხედრო თვითმფრინავი დაფრინავდა ჩვენს თავს ზემოთ. მერე იქ სამხედროები გადმოსვეს, ესენი ზვიადისტები არიან და, არიქა, არ გაიპარონ, ხიდი არ აიფეთქონო. დღესდღეობით კი ე.წ. ეროვნული ძალები გვებრძვიან, მითომ შევარდნაძესაც რომ ოპოზიციაში უდგანან. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს იმდენი ჭკუა აქვს, აშკარა ბრძოლა რომ არ გამოგვიცხადოს და ამით ჩვენი რეიტინგი არ აწიოს ხალხის თვალში. მოკლედ, ეს არის შევარდნაძის მორიგი მზაკვრობა", — განმარტა ბ-ნმა ელიზბარ ჯაველიძემ.

ბლოკის თავმჯდომარემ ისაუბრა უკანასკნელ ხანებში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე: „ყველა შეგვძრა 29 აგვისტოს ტერორისტულმა აქტმა. მეორე დღესვე სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: ეს იყო ტერორისტული აქტი სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ და აკი იყო მცდელობა სახელმწიფოს გადატრიალებისა. და ა.შ. ახლა მე ვეკითხები ჩვენს გონიერ ჟურნალისტებს — ჰქონდა თუ არა უფლება თუნდაც სახელმწიფოს მეთაურს წინასწარ ეთქვა, რომ ეს არის ასეთი თუ ისეთი ბორტმოქმედება? ეს ხომ გამოძიების საქმეა. ჩვენ, პირადად მე, არავითარი რწმენა არა მაქვს იმ შედეგებისადმი, რაც გამოაქვეყნეს სახელმწიფო ორგანოებმა. ზუსტად ასეთივე მიმართებაში ვარ მე ყველა ტერორისტულ აქტთან. ყველა იყო წინასწარგანზრახული, ზემოდან დაშვებული რამ". ამ საკითხთან დაკავშირებით ბ-ნმა ელიზბარ ჯაველიძემ დასძინა: „ეს ხდება იმიტომ, რომ თვითონ სახელმწიფო გახდა ტერორისტი, და როდესაც კვირაია გამობრძანდა და შეშფოთებით დაგვიხატა მკვლელების სახეები — გელაშვილი, გიორგაძე, ხაჩიშვილი, მე ვსვამ კითხვას: ვინ დანიშნა ხაჩიშვილი, გიორგაძე? შევარდნაძემ! იმიტომ, რომ იქმნებოდა სტრუქტურა, რომელიც იმუშავებდა ტერორისტულ მიზნებით. ამ მკვლელობებს ფარდა აეხდება. გამოდის ტელევიზიით იგივე კვირაია და აცხადებს, რომ ეს აქტები პანტელეიმონ გიორგაძის სახლში იგეგმეზრდაო. მე არც იგორ გიორგაძის და არც ერთი კაგებეშნიკის დამცველი არ ვარ, მაგრამ პროფესიონალიზმს ვერ წაართმევ. ამ კაცს ათასი ბინა აქვს თავშესაყრელი და რაღა მამამისის სახლში მოხდა ეს? მაგრამ რატომ, იცით? პატიაშვილია ჩათრეული და ამიტომ. ეს ხომ შავით თეთრზე დაბლანდულს ჰგავს... აი, ყველაფერ ამის შემდეგ რომ გამოდიან ის ვითომდა ამფეთქებლები და აცხადებენ, რომ გიორგაძემ უბრძანა ეს თუ ის. აგერ, ხაჩიშვილი ხერხემალშია გადამტვრეული, იქ ხომ იცით? როგორ მუშავდება კაცი, აწამებენ და ათქმევინებენ ნებისმიერ რამეს. ეს ტერაქტები კიდევ გაგრძელდება, მაგრამ საქმე რაშია იცით, ქვეყანა იღუპება, კაცისკვლას შეგვაჩვიეს. მხედრიონს რომ დაუწყეს დევნა, მაგ მხედრიონის გამო მე მასამართლებდნენ ერთ დროს. არადა, ვისი ხელდასმით წავიდა სამეგრელოში მხედრიონი, ხუთჯერ ვინ ააწოიკა... ჩემს თვალწინ მოკლეს 15 წლის ბიჭი და გადმოსცემდნენ, ქობალია ბომბავს თვითმფრინავიდანო. თვითმფრინავი რომ ყოლოდა ქობალიას, ამათ კი არ დაეჭერინებოდა. ახალი ძალა რომ მოვა პარლამენტში, უპირველესად სამართალდამცავი ორგანოების საკითხი უნდა დააყენონ".

პრეს-კონფერენციაზე გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ ამ შეხვედრას არ ესწრებოდა ტელევიზიის წარმომადგენლობა და საერთოდ, ბ-ნ ელიზბარ ჯაველიძის თქმით, ტელევიზია მათი ბლოკის დემონსტრაციულ იგნორირებას ახდენს. „თხუთმეტი წუთი რომ ნესტან კირთაძის მშობიარობის ამბებს გვასმენინებდნენ, იქნებ ჩვენც გვათქმევინონ ორიოდ სიტყვაო", — დასძინა ბ-ნმა ელიზბარმა. სხვათა შორის, პრესის მუშაკებიც კანტიკუნტად ჩანდნენ. სამაგიეროდ, ბევრნი იყვნენ ე.წ. ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რის გამოც დარბაზში ტევა არ იყო.

ლელა კოდალაშვილი

რა მოხდა საქართველოში?

დაბნეული მოქალაქის ჩანაწერები

ერთი შეხედვით თითქოს ნამეტანი რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ერთობ დაბნეული ვარ, ნამდვილად ვერ გავიგე, რა მოხდა საქართველოში ამ ოთხიოდე წლის წინ.

ახლა ამბობენ, სამხედრო გადატრიალება იყო. მანამდე ზოგი იძახდა, ხუნტა მოვიდაო, ზოგი კიდევ — დემოკრატიული რევოლუციაააო, მე კი ვერ გავიგე...

რა ვერ გავიგე, ახლავე მოგახსენებთ.

ჯერ ის ხალხი გავიხსენოთ, ვინც თავის დროზე გამსახურდიას აქტიური ოპონენტები იყვნენ და ბარემ ისიც ვთქვათ, ახლა სად არიან.

თენგიზ კიტოვანი — ციხეში.

ჯაბა იოსელიანი — ჯერ არ დაუჭერიათ, მაგრამ არც ბევრი უკლია. მისი „პირმშო" — მხედრიონი — მაშინაც კრიმინალურ დაჯგუფებად იყო მიჩნეული და ახლაც ბანდიტურ ფორმირებადაა გამოცხადებული. რაც შეეხება მხედრიონელებს, ისინი ან უკვე დაჭერილები არიან, ან დასაჭერად დასდევენ.

თენგიზ სიგუა — ეჭვმიტანილია და გენერალურ პროკურორს თუ ვერწმუნებით, შეიძლება მალე კიტოვანის გვერდით ამოაყოფინონ თავი.

ირაკლი წერეთელი — ასევე ეჭვმიტანილია. პროკურატურა მასზე დიდი ხანია კბილებს ილესავს.

ოემურ ყორყოლიანი მაშინაც ციხეში იჯდა და ახლაც იქაა გამწესებული.

გიორგი ჭანტურია — მოჭკლეს.

გია გულუა — მოჭკლეს.

ზაზა ვეფხვაძე — მოჭკლეს.

გია სვანაძე — მოჭკლეს.

ვახტანგ ტალახაძე — მოჭკლეს.

ნიკა კეკელიძე — მოჭკლეს.

პაატა დათუაშვილი — მოჭკლეს.

დავით ზეიკიძე — მაშინ უბრალოდ გააგდეს პოლიციიდან, ახლა თან გააგდეს, თან დასაჭერად დასდევენ.

ნოდარ ნათაძეს გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" მაშინაც ლანძღავდა და ახლაც დედას აგინებს.

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, ოღონდ ამჯერად ვიმყოფინოთ და ცოტა მეორე მხარესაც გავიხედოთ.

ბაკურ გულუა — მაშინაც ვიცე-პრემიერი იყო და ახლაც იქაა.

ასლან აბაშიძე — მაშინაც მეფობდა აჭარაში და ახლა მთლად შეუხლუდავი მონარქია.

მურმან ომანიძე — მართალია, ჯერ თანამდებობაზე არ დაუნიშნავთ, მაგრამ თავს კარგად გრძნობს, მატერიალურ სიდუხჭირეს არ უჩივის და მომავლის იმედიცა აქვს.

აკაკი ასათიანი — კვლავ გავლენიანი პარტიის ხელმძღვანელია და თუმცა, ჯერ არსად დაუნიშნავთ, სამაგიეროდ თვითონ ნიშნავს ვიცე-პრემიერებს.

აკაკი ელიავა — ლოთი ქობალიას „მარჯვენა ხელი", სენაკში პოლიციის უფროსია და მხედრიონელებს დასდევს დასაჯერად.

თვითონ ლოთი ქობალია ჯერ-ჯერობით „ხის", მაგრამ ასე თუ წავიდა საქმე, ალბათ, მალე გამოუშვებენ. ან შეიძლება პირდაპირ გაცვალონ ჯაბა იოსელიანში...

ჰოდა, გამაგებინეთ ახლა: ამ რუსთაველზე რომ ბაოქაბუთქი იყო ამტყდარი, ვინ ვის ეხხუბებოდა და საერთოდ, რა ანხუბებდათ? ვინ რა გადაატრიალა — ან ის ხუნტა სად არის, ან დემოკრატიული რევოლუცია რაში გამოიხატებოდა. ან კიდევ, შევარდნაძე რომ გაიძახოდა, პროვინციული ფაშიზმი დავამარცხეთო, — ან ის პროვინციელები ვინ იყვნენ, ან ის ფაშისტები?

ზურაბ დოლიძე

პრეზიდენტობას რა უნდა...

პირველი გვერდიდან

ს, ის ჩვენი (ჩემი, ჯაბას, კვარაცელიას და ხაჩიშვილის) ჩამოყვა-ლიათ. ეს ჩამოსაყვანად რომ ...დიოდით, თვითმფრინავი 12-თიან შემოწმებაზე იყო დაყენებული, ჩემთან ხაჩიშვილი მოვი- და მითხრა, თვითმფრინავში ...განოს ფანამშრომლები არია-ნ. მიედი და მართლაც მთელი ...ოკურატურა იქ დამხვდა. მე ვუ-ბარი, იმ კაცის დასაჭერად მიდი-რთ თუ ჩამოსაყვანად-მეთქი. მე ს ბევრ შეხედულებას ვიზიარებ. ...ცი, რა აზრიც დადის ხალხში, ...რთლოსი კანდიდატურას მოხს-ს შევარდნაძისთვისო. იცით რა, ...ევარდნაძის შეცდომა ისაა, რომ ...უნდი ვერ შექმნა. სულ ორ კაცს ...ერდნობოდა — კიტოვანს და ჯა-ს. ერთი ციხეშია, მეორე კი... ...ას წინათ ჯაბას ვუთხარი რაღა-აზე, შეთანხმება დროზე გავა-ორმოთ, სანამ გარეთ ხარ-მეთქი ...ველაფერი ყველაფერი, მაგრამ ...ამახვილობით კი ნამდვილად ...აიტრაბახებს ჩვენი „პრეზიდენ-ი". ედუარდმა რომ გუნდი შექ-ნას, ბევრ სიკეთეს იზამს. იმედი ...ქვს, რომ არჩევნები ობიექტუ-ად ჩატარდება. თუ გაყალბდა, ...იდი-დიდი 15 %, უკაცრავად ...%. თუმცა, მაკიაველი უფრო ...ხვა აზრისაა, ვიდრე მე (ოჰო!..). ის ...ამბობდა, ახალი ხელისუფალი რო ...ოვა, ძველი სახელმწიფო კედელი ...ნდა დაანგრიოს და თავისი ააშე-ოსო, მაგრამ თუ ბ-ნი ედუარდი ...ერ გახდა პრეზიდენტი და მე მო-ინწია ამ პოსტზე ყოფნა (ოცნებას ...აცი არ მოუკლავს ბატონო ქარ-ულს!), მე იმ სახელმწიფო კე-ელს კი არ დავანგრევდი, არამედ ...ავაგრძელებდი (ეს უკანასკნელი ...ინტყვები მიტინგისათვის შესაფე-რისი ეგზალტირებული პათოსით ...წარმოთქვა და კანტიკუნტი აპ-ოდისმენტებიც დაიმსახურა და-ესწრე ჟურნალისტებისაგან).

რომელი პარტია მოსწონს და...

პარტიებიდან ყველაზე დიდ პატივს მოქალაქეთა კავშირს ვცემ. რაც შეეხება რჩეულიშვილს, ენერგიული კაცია. მაგრამ მას შეეძლო ბ-ნ ედუარდთან სხვანაირი მიმართება ჰქონოდა. მოკლედ, მოზომილი არ არის. კარგი დამოკიდებულება მაქვს ედპ-სთან. რა მაგის პასუხია და, ერთხელ წერეთელი რაღაცაზე შემომედავა, ტყუილსა ლაპარაკობ (აქ ბ-ნი ქართლოსი ცოტა უფრო მეტად გაგვიშინაურდა და მეტყველებაში თავს „პატარა" აღმოსავლური დიალექტის გამორევის ნება მისცა). მე უთხარი, შენ 89 წლიდან სუტყუილსა ლაპარაკომ-მეთქი. რეფორმატორებთანაც კაი დამოკიდებულება მაქვს.

თუ არჩევნების II ტური ჩატარდა და დავინახე, რომ მე ვერ გავდივარ, გვარს არ დავასახელებ, მაგრამ მოვუწოდებდი, იმისთვის მიეცათ ხმა, ვისი პროგრამაც ჩემთვის მისაღები იქნება და ვინც იზრუნებს ჩემზე პირადად.

გარდერობი...

თქვენთან რომ მოვდიოდი, ვცდილობდი, მხიარული ფერის ტანსაცმელი ჩამეცვა და სწორედ აი, ეს კოსტუმი შევარჩიე (წუნს ნამდვილად ვერ დასდებდი, ბატონი ქართლოსი პირდაპირ ფერებში იყო „გადაწყვეტილი"). ისე, შევარდნაძეს ჩემზე მეტი კოსტიუმები აქვს.

ღარიბაშვილი ნახევრად პრეზიდენტი ყოფილა...

მოგეხსენებათ, მე წამომაყენა საინიციატივო ჯგუფმა და როცა ეს ჯგუფი გავგზავნე საარჩევნო კომისიაში, იქ ასეთი რეპლიკა ესროლეს: ღარიბაშვილი უკვე ნახევრად პრეზიდენტიაო. და, სხვათა შორის, სულ სიმპათიური ქალები იყვნენ. ქალს ბევრის გაკეთება შეუძლია პოლიტიკაში. ერთგულება-კოეფიციენტიც მას მეტი აქვს, აქტიურობაშიც არ ჩამოგვავარდება...

აქ ერთმა თავხედმა ჟურნალისტმა იფიქრა, ემანდ მართლა არ გახდეს პრეზიდენტიო და თავი გამოიჩინა: ბ-ნო ქართლოს, ღმერთმა ქნას, მართლა აგირჩიონ ჩვენს პრეზიდენტად და ისე, ხომ უნდა ვიცოდეთ, ჟურნალისტებზე რა აზრის ხართ და, საერთოდ, რას მოგვიტანს თქვენი გაპრეზიდენტება... ბ-ნმა ქართლოსმა ჩიბუხში ღრმად ჩაყრილ თუთუნს სანთებელა „ჩაუკიდა" და ბრძნული პასუხი გასცა: ხელისუფლებას მეოთხე ხელისუფლების ხათრი და რიდი უნდა ჰქონდეს; იგი ან უნდა არსებობდეს და ან — არა. მანქანა შეიძლება ჰყავდეს ან არ ჰყავდეს კაცს, საშუალო არ არსებობს: თუ არის, ე.ი. ნათხოვარია...

პრეზიდენტობას რა უნდა...

სოფლის გამგებელმა რო პრეზიდენტობა მოინდომოს, ანომალიაა ხომ (ისე, ჩვენში რომ დარჩეს, რითი ჰგონია ბ-ნ ქართლოსს თავი სოფლის გამგებელზე მეტი...)? მე რომ მოვინდომე პრეზიდენტობა, როინის კანდიდატურა უკვე იყო და ამნაც გამაბედინა (ე.ი. თხა თხაზე ნაკლებიო...). ხომ არ შეიძლება, რომ აშშ-ს სუსტი პრეზიდენტი ჰყავდეს, სუსტი ქვეყნის სათავეში კიდევ შეიძლება სუსტი მმართველის მოსვლა. შევარდნაძე უფრო დიდი ზრობლემებით არის დაკავებული, ამიტომ ვერ გაართვა შიდა პოლიტიკას თავი.

ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, დიდხანს ვფიქრობდი და 15 სექტემბერს, დღის ოთხ საათზე (პარასკევს) გადავწყვიტე, რომ კენჭი მეყარა. კონსულტაციებიც მქონდა ერთ სპინტერესო პიროვნებასთან, გვარს ვერ დავასახელებ. ბოლო-ბოლო საქართველო ჩინეთში რო ჩასვა, ერთ-დიდი სოფელი გამოვა. მოკლედ, პრეზიდენტს უნდა გედგას რამდენიმე ტელეფონი, გამგებლებს დაუკავშირდე, უხელმძღვანელო და მორჩა...

კაბინეტში სურათი აქვს...

ჩემს კაბინეტში სტალინის სურათი მიკიდია, მეგობარმა მომიტანა, გვერდით კიდე ვაჟასი. იცით რატო? სტალინი ყველაფერს: მოხსენებებს, განცხადებებს, თვითონ სწერდა, სხვას არ ავალებდა. წიგნებს და ყველაფერს კითხულობდა (ისე, ბატონ ქართლოსს ჩიბუხზე ეტყობა, მარტო მაკიაველით რომ არაა გატაცებული)... ამირჩევენ, ხომ კარგი, არადა...

მოკლედ, მე რეალურად ვუყურებ ჩემს შესაძლებლობებს. უკვე არსებობს შევარდნაძის გუნდი, პატიაშვილის გუნდი. იცით, ვინ არის პატიაშვილთან? ვისაც ის ეყრდნობოდა თავისი მმართველობისას. მე კი ის მიჭერს მხარს, ვინც აპათიითაა განწყობილი არჩევნებისადმი, თუ შევძელი და მათ ჩემი სათქმელი ვუთხარი, ძალიან ბევრს გავაკეთებ, ძალიან!.. თუ ამირჩევენ, გავხდები პრეზიდენტი, არ გავხდები და... არც მაგისი მეშინია. კარგად ბრძანდებოდეთ (აგაშენოთ ღმერთმა!..).

* * *

მოკლედ, ბატონმა ქართლოსმა, როგორც იტყვიან, ათას რამე-რუმეზე, უკაცრავად, ათას თემაზე ისაუბრა, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნა და მეც დავრწმუნდი, პარლამენტში წარმატებით გაუვლია სკოლა: როგორ ვისაუბროთ ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს.

ლელა კოდალაშვილი

რატომ აწერია ქართულ თეთრს „1993 წელი"

პრესაში ატეხილი ხმაური იმის თაობაზე, თითქოს ლარი და თეთრი ამჟამინდელი მთავრობის მიერ იქნა მომზადებული, წმინდა წყლის საარჩევნო პროპაგანდა რომ არის, ამას ბავშვიც კი ხვდება. სხვათა დამსახურების მიწერაც რომ ამჟამინდელი მთავრობის მმართველი გუნდის ნაცადი ხერხია, არც ესაა ძნელად გასაგები. თუმცა, ეს მაინც წვრილმანია და არც ღირდა ამის თაობაზე საუბარი, რომ არა ის საარჩევნო ტაშ-ფანდური, რომელიც ლარის შემოღებას უძღოდა წინ.

ქართულ მონეტას ნათლად აწერია მისი მოჭრის თარიღი — 1993 წელი.

თუმცა მონეტაზე „1993 წლის" დატოვებით ამჟამინდელ ხელისუფლებას სულაც არ უცდია სხვათა ნამოღვაწარის წარმოჩენა. უბრალოდ, ეს მათი არაკომპეტენტურობის შედეგია.

ეს შეიძლება კიდევ ასატანი ყოფილიყო, რომ არა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი: ლარს და მონეტას აწერია არარსებული სახელმწიფოს სახელწოდება (ინგლისურად და ქართულად. საქართველოს რესპუბლიკა". სინამდვილეში კი, კონსტიტუციით ჩვენს ქვეყანას ჰქვია „საქართველო".

მოკლედ, ამაზე იტყვიან „ვაი ჭკუისაგანო".

გელა იზოშვილი

ვიღაცას ჰუმანიტარული დაურიგებია

ამას წინათ ტელევიზიით გაღაიცა საარჩევნო ბლოკ „აფხაზეთი ჩვენი სახლია"-ს (ლიდერი თამაზ ნადარეიშვილი) განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია ჰუმანიტარული დარიგებით ცდილობს არჩევნებისთვის ლტოლვილთა ხმების გადაბირებას. კონკრეტულად კინ იგულისხმებოდა, ტექსტის მიხედვით ვერ გაარკვევდი. განცხადებაში მხოლოდ ნარიულებით შემოიფარგლნენ. მაგალითად ითქვა, რომ ამ ხალხს (ანუ ჰუმანიტარულის დამრიგებლებს) ლტოლვილები სამი წელია არ გახსენებიათ და ახლა, არჩევნების წინ გამოიღვიძა თავი, ისიც ითქვა, რომ ეს „ჰუმანიტარული" ხელაც ჩვეულია, ანუ უცხოური ფირმისაა, ჩვენი დამრიგებლები კი საკუთარ დამსახურებად ითვლიან, რომ ასეთი მეგობრებთან ქულების დაგროვება ეხერხება და ა.შ.

განცხადების ავტორთა მხრიდან კრიტიკის ობიექტის გაუმხელელობა გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად მოსალოდნელია აქ რომელიმე ოპოზიციური პარტია იგულისხმებოდეს. ეს რომ ასე იყოს, ოფიციოზი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. მითუმეტეს, მოქალაქეთა კავშირის ირგვლივ ამტყდარი აურზაურის შემდეგ — ხომ ხედავთ, აქეთ გვბრალებენ, ამ დროს თვითონ რაებს ჩადიანო. უფრო სავარაუდოა, რომ ჰუმანიტარულის დამრიგებლთა როლში კვლავ შევარდნაძისტთა რომელიმე პარტია მოგვეკლინა. თუმცა ცოდვის ვერ დავიდებთ და კონკრეტულად ვერავის დავდანაშაულებთ — გინდა თუ არა, შენ იყავი, მაქრის ტომრებს რომ ცლიდი „კაპიზიდანო".

ისე, განცხადების ავტორებს მცირე საყვედურიც ქკუთვნით: თუ საბუთი არა გაქვს და ყურმოკრულ ჭორებს აჰყოლიხარ — ჯობს საერთოდ ხმა არ ამოიღო, ხოლო თუ თქმა, ბარემ ბოლომდე თქვი, თორემ „ვინცხამ საცხა რაცხა ჰქნა" — არ ითვლება.

ანდრო გვარამია.

მოქალაქეთა კავშირი ადმინისტრაციულ შენობებში

მოქალაქეთა კავშირი მრავალი შეღავათების გარდა იმ შეღავათებითაც სარგებლობს, რითაც თავის დროზე კომპარტია. ამ ორგანიზაციის ცენტრალური და რაიონული ოფისები ძირითადად საბელმწიფო მმართველობისა და საბელმწიფო საკუთრების საბინაო ფონდებშია განთავსებული (ბუნებრივია, უფასოდ ან სიმბოლური გადასახადით). ახლახანს მომიხდა ყაზბეგის გამზირზე ტრანსპორტის სამინისტროში მისვლა, სადაც რამდენიმე საბელმწიფო ორგანოა განთავსებული, მათ შორის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი. ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ იქვე განთავსებულია მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაცია. თურმე არა მარტო სამინისტროებში, არამედ რაიონულ გამგეობებში ძირითადად „მოქალაქეები" არიან მოთავსებული.

რ.ტაბატაძე

უნდობლობას ვუცხადებთ სამშვიდობო ძალებს

ერთი თვეა, რაც შეიქმნა პოლიტიკური მოძრაობა „აფხაზეთი ჩემი სახლია“. 9 ოქტომბერს ჟურნალისტთა სახლში ამ მოძრაობის ხელმძღვანელებმა პრეს-კონფერენცია გამართეს, რომლის ძირითად თემას ლტოლვილთა გაერთიანება და აფხაზეთში დაბრუნება შეადგენდა.

მოძრაობის ლიდერია თამაზ ნადარეიშვილი, საპატიო წევრები: ლონდერ ცაავა, გურამ ფანჯიკიძე, ზურაბ პაპასკირი, გურამ გორელიშვილი, თენგიზ დიხამინჯია.

როგორც ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა აღნიშნა, ამ პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ დღეს პოლიტიკურმა პარტიებმა ლტოლვილების გამოყენება დაიწყეს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (1 კგ. კამფეტით ცდილობენ ხალხის გადაბირებას, რაც ყოვლად მიუღებელია). ეს კი გამოიწვევს ლტოლვილთა დაქუცმაცებას და დაყოფას. ამ მოძრაობის მიზანია 300 ათასი კაცი გააერთიანოს და აფხაზეთში შეერთებული ძალით დაბრუნდეს: „ჩვენ დაგვციინიან: 250 ათასი 80-მა ათასმა როგორ გამოყარაო; ჯერ ერთი, ჩვენ დიდმა ქვეყანამ გამოგვყარა და მეორე, ჩვენ გამოგვყარეს იმიტომ, რომ დაქსაქსული ვიყავით სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებად“.

ბატონმა თამაზმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საკითხი ჩიხში შევიდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა 1956 წელს ანტიქართული გამოსვლები დაიწყო. ყველაზე მტრულად ქართველებს ის აფხაზები ეპყრობიან, ვინც თბილისშია ნამუშევარი...

როგორც ცნობილია, დეკემბერში რუსეთის სამშვიდობო ძალებს მანდატი უთავდებათ. პოლიტიკური მოძრაობა „აფხაზეთი ჩემი სახლია“ უნდობლობას უცხადებს სამშვიდობო ძალებს და კატეგორიულად მოითხოვს მათ გაყვანას საქართველოდან. რამდენიმე დღეა, რაც ეს პოზიცია დააფიქსირა აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომაც.

ბატონმა ლონდერ ცაავამ განაცხადა, რომ მოძრაობის ძირითადი მიზანია მოახდინოს სახელმწიფო სტრუქტურების მობილიზაცია აფხაზეთის დასაბრუნებლად, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი დეპუტატი წარსდგეს მათი პლატფორმიდან — აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისათვის მომავალ პარლამენტის შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი მაჟორიტარულ სისტემაში მონაწილეობას არ მიიღებენ. მხოლოდ პროპორციული სისტემით ისარგებლებენ. ბატონმა ცაავამ დასძინა, რომ მათი მეცადინეობით ლტოლვილთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში (როგორც ცნობილია, ამის შესახებ ოფიციალურ სტრუქტურებში აზრთა სხვადასხვაობა იყო). ჩვენი ამოცანაა მათი გაერთიანებისათვის ბრძოლა.

პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ ბატონი გურამ ფანჯიკიძე სოხუმში როგორც რიგითი ჯარისკაცი იბრძოდა. რადგან ამის თაობაზე არაფერი დაწერილა, ეს ძალიან ცოტამ იცის. გურამ ფანჯიკიძე არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში ან მოძრაობაში არ ღებულობდა მონაწილეობას. მაგრამ მას აფხაზეთის საზოგადოებამ სთხოვა ამ მოძრაობის წევრობა და ისიც დათანხმდა. „მე არ შემეძლო უარი მეთქვა“.

ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ ისაუბრა მოსკოვში გამომავალ აფხაზურ გაზეთებზე და კერძოდ, გაზეთ „აბხაზიას“ შესახებ, რომელიც „პირდაპირ დვარძლს ანთხევს. ამის პატიება არ შეიძლება და ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ ესახებათ აფხაზეთში შესვლის რეალური გზა, ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა უპასუხა: „დევნილ მოსახლეობაში ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: ნაწილი პოლიტიკური მეთოდებით და მშვიდობიანი გზით დაბრუნებას ანიჭებს პრიორიტეტს, ნაწილი კი სამხედრო გზას მიიჩნევს რეალურად. მე ვჩერდები ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე. მშვიდობიანი გზით შეიძლება დავიბრუნოთ მხოლოდ გალი. მთლიანად აფხაზეთის დაბრუნება კი შესაძლებელია მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით“.

ნინო ზამთარაძე

როგორ გახდა ჯაბა იოსელიანი... ტორტი

(ნამდვილი ამბავი)

ეს ამბავი გამონაგონი არ გახლავთ, არც ანეგდოტი. თუმცა, ამ შემთხვევაში, მსგავსი რამ მართლა რომ არ მომხდარიყო, ჯერაცა მაინც აუცილებლად გამოიგონებდა.

ამ რამდენიმე დღის წინ, ერთ პატიოსან კაცს, უნივერსიტეტის პროფესორს, ქუჩაში ფეხით მოსეირნე ჯაბა იოსელიანი შეხვედრია. მოდის თურმე ბატონი ჯაბა, შეიარაღებულ მცველთა ჩვეული ამალის გარეშე და ცნობისმოყვარე გაქვლელია. მსერა მოაცილებს.

პროფესორი ადრეც კარგად იცნობდა იოსელიანს. დიდი ხანია არ შეხვედრიდა ასე პირისპირ და ახლა რომ დაინახა. მივიდა და მიესალმა.

— გამარჯობა, ჯაბა. როგორ ხარო.

— გაგიმარჯოს, მაგრამ მე ჯაბა არა ვარო — მიუგო იოსელიანმა.

— მოიცა ერთი, რას ამბობი, — ვერ მიუხვდა ხუმრობას პროფესორი.

— გეუბნები, არა ვარ ჯაბაო.

— აბა, ვინა ხარო. — გაკვირვებია პროფესორს.

— ვინ ვარ და... ტორტიო, — „მოისმა პასუხად.

— რომელი ტორტიო?

— რომელი და, აი, დესერტისთვის რომ აქვთ შემონახული და ბოლოს მირთმევენ, ისაო. — განმარტა ჯაბა იოსელიანმა და სეირნობა განაგრძო.

P.S. ამ მართალი არაკის მორალი უადრესად მარტივია: თუ გსურს ბოლომდე კაცად დარჩე და კიდაც მსუნაგის ლუკმად არ იქცე — ეს ცხოვრება გაშლილი სუფრა ნუ გგონია და არა კაცი არ ნათვალო ამ სუფრაზე შენდა საამოდ მორთმეულ კერძად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 4. ლორწოვანი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე; 7. უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე XX საუკუნეში; 8. რაიმე მიზნით ერთად თავმოყრილ ადამიანთა დასახლება; 13. კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 14. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 15. სახუმარო შინაარსის საესტრადო პიესა; 16. მარადმწვანე მცენარე; 17. კონტინენტი, ანუ... 20. ხიდი, რომელზეც გადაყვანილია წყალსადენი მილი, რაიმე არხი ღრმა ხევზე, რკინიგზაზე, გზატკეცილზე; 23. მინის მსგავსი გაუმჭვირვალე მასა; 24. ქალაქი ვიეტნამში; 29. ქართველი სპორტსმენი (კლასიკური ჭიდაობა), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი; 32. ცნობილი ქართველი დირიჟორი; 33. სოფელი გარდაბნის რაიონში; 36. ტყის ნიმფა, ფერია ბერძნულ მითოლოგიაში; 37. პერსონაჟი ნ.წულეისკირის ნაწარმოებისა „დავით აღმაშენებლის ქვა“; 38. მექანიზმების საფარი მტვრისგან, სინესტისგან და მისთანათაგან დასაცავად; 39. ლაპარაკში ან ქცევაში გამომჟღავნებული რიხი, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 40. საჯარისო შენაერთი; 41. ერთი ხელი თამაში; 42. მეცნიერებისაკენ მისი დარგის შემქმნელ დებულებათა ერთობლიობა.

შვეულად: 2. შტატი ამერიკაში; 3. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭაში; 5. მოქმედება ვისმე ან რისამე წინააღმდეგ; 6. უეცარი შიშით, თავზარით გამოწვეული მღელვარება; 7. საზეიმო წვეულება; 9. ქალაქი გვატემალაში (ცენტრალური ამერიკა); 10. ნიჩაბი ცომის ასაფხეკად; 11. ქართველი ფერმწერი; 12. ვაჟა-ფშაველას პოემის, „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 18. ფრანგი პოეტი (XIX საუკუნე); 19. ღორის ჯოგი; 21. სრული, მთლიანი მარცხი; 22. იგავ-არაკის ჟანრის ფუძემდებელი; 25. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეთანხმება; 26. ხაზებით, შტრიხებით (უსაღებავოდ) ხატვის ხელოვნება; 27. გოგი ქავთარაძის სცენური სახე; 28. რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა; 30. მთელის ყველა ნაწილის შეთანხმებულობა, ერთიანობა და პროპორციულობა; 31. მსოფლმხედველობა, რწმენა; 32. უცხოელი კომპოზიტორი — კინომუსიკის ერთ-ერთი დიდოსტატი; 34. ირონიული მოხსენიება უშფოთველი ცხოვრებისა; 35. იაპონური თეატრი, გამაერთიანებელი დრამისა, მუსიკისა, ცეკვისა და დეკლამაციისა.

ყველას!

ვისთვისაც ძვირფასია ქართული აკადემიური ხელოვნება!

ვინც დარწმუნებულია, რომ ქართული მწერლობა ჯერ კიდევ არ დაცლილა ნიჭიერი მუსიკოსებისაგან!

ვისაც მოგენატრათ ქართული საშემსრულებლო სკოლის ბრწყინვალე ოსტატები ნახეთ შეხვედრა!

„რესპუბლიკელები“ (გაერთიანებული რესპუბლიკური. პარტია) და დავით ანდღულაძის სახელობის ვოკალურ-კულტურული ფონდი

17 ოქტომბერს 18 სთ-ზე

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზში (დავით აღმაშენებლის პროსპექტი №125) გიწვევთ სიმფონიური და საობერო მუსიკის კონცერტზე

„თაოგბათა ესტაფეტა“

კონცერტში სხვებთან ერთად მონაწილეობენ: ცისანა ტატიშვილი, ელისო ბოლქვაძე, ელდარ გეწაძე, სახელმწიფო საფორტეპიანო ტრიო, ნათია ასტახაშვილი — შობენის კონკურსის ლაურეატი, რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი), ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლები და კონსერვატორიის სტუდენტები.

კონცერტი მიჰყავს პროფესორ ნოდარ ანღდულაძეს

ბილეთის ფასი მინიმალურია

გასწორება

გაზეთ „საქართველოს“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა თენგიზ ბეჟაურის სტატია „საშშობლო დედის ტუჩი თურმე იცვლება სხვაზედა“. მე-8 გვერდზე მე-4 სვეტის მე-4 აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვე დალოცვილებო, — კერძოდ, მივმართავ ბატონ ვაჟას (იგულისხმება გამგებელი ვ.ცაბუტაშვილი) სტრიქონი „საშშობლო დედის ტუჩი არ გაიცვლების სხვაზედა“ რადას [illegible] დათ?“ დანარჩენი როგორც ტექსტში

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსულ მასალებს პასუხს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 40 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99, 93-18-41